ხუთშაბათი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 19 № 243

წელიწადი მეოთხე

ხუთშაბათი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 19 №243

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე [illegible]

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კონტორა**

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15--73

## უკანასკნელი ცნობები

ჩვენი ჯარი წინ მიიწევს და ალავერდის იქით ორი სოფელი აიღო.

სახალხო გვარდიის რაზმმა გზა გაიკაფა და ვორონცოვკას მიაღწია.

გენ. მაყაშვილი ახალქალაქის მაზრაში წინ მიისწრაფის.

გუშინ ყველა სომეხ მილიციონერებს იარაღი აჰყარეს და სამსახურიდან გადააყენეს.

თბილისის გენ.-გუბერნატორის განკარგულებით დაიხურა: „აშხატაორი", „ნორ-ორიზონი" „კავკაზსკოე სლოვო" რომლის შემადგენლობა და რედაქტორი ანანოვი დააპატიმრეს.

გერმანიის სხვა და სხვა სახელმწიფონი ცალ-ცალკე დამოუკიდებელ ყრილობას იწვევენ. არჩევნები დაიწყო. იმარჯვებენ ზომიერი სოციალისტები, შემდეგ პარტია ბურჟუაზიული და უმცირესობა ხმას აძლევს დამოუკიდებლებს.

მეკლენბურგში არჩევნების დღეთ 25 ქრისტეშობისთვე გამოაცხადეს.

5 ქრისტეშობისთვეს მაკენზენის ლაშქარს რუმინიის ჯარმა იარაღი აჰყარა და დაატყვევა.

გერმანიის ნაციონალ - ლიბერალურ პარტიის ცენტრალ კომიტეტმა დაადგინა: გაუქმდეს პარტია და „სახალხო პარტიის" სახელწოდება მიიღოს.

ახალ სახალხო პარტიაში ნაციონალ-ლიბერალთა მემარჯვენე ფრთა შედის.

პრუსიის პალატის დარბაზში გერმანიის საბჭოთა კონფერენცია გაიხსნა.

ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

„საქართველო"

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

ხელის მოწერის ფასი:

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . . . . . . | 150 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . . . . . . | 75 „ |
| სამი თვით . . . . . . . . . | 40 „ |
| ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) . . | 15 „ |

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა.
ფოსტის ადრესი: თბილისი, გაზ. საქართველოს კონტორა, ფოსტის ყუთი № 76.
ტელეგრაფის ადრესი: თბილისი „საქართველო".

კონტორაში ხელის მოწერა მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. უქმე დღეებში მხოლოდ დილით.

ღრმად დამწუხარებულნი: დედა-ქეთევან ესტატეს ასული, დები—საშა და ნინო ისაკის ასულნი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს პირველი ძვირფასი შვილის ხოლო მეორენი დის თბილისის მასწავლებელთა კოლეგიის გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფის

ანნა ისაკის ასულის

ცერამის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე დილით 10 საათ. და სად. 4 საათზე. დაკრძალვა მოხდება დაბა ცხინვალში 22 ქრისტეშობისთვეს. გასვენება დილის 10 საათზე.

3—1960—2

ღრმად დამწუხრებულნი: შვილი თამარი ივანეს ასული წერეთლისა, შვილიშვილი ადიკო კონსტანტინეს ძე დიდებულიძე, სიძენი კონსტანტინე სოლომონის ძე დიდებულიძე და ალექსანდრე ზურაბის ძე წერეთელი და რძალი მარიამ გრიგოლის ასული დიდებულიძისა აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ

ეკატერინა ზაალის ასულის პორძაიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 20 ქრისტეშობისთვეს ს. ხვარეში წმინდა გიორგის ეკლესიაში.

1—1962—1

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ევლახოვისა

ხუთშაბათს, 19 ქრისტეშობისთვეს, თბილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დღეს—საბანეევას, ზალიპსკის, ვრონსკის, ნიკოლსკის და დემიანენკოს მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

სევილიელი დალაქი

და ბალეტი

(ჯიოკონდას ოპერიდან საათების ცეკვა)

დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე. ✦ ადგილების ფასი ხელმისაწვდომია.

## სომხეთ-საქართველოს ომი

— მოხდა ის რაც არ უნდა მომხდარიყო,—ასე დაიწყო თავის სიტყვა მინისტრთა თავმჯდომარემ ნ. ნოე ჟორდანიამ, მაგრამ მთელი მსვლელობა პარლამენტის სხდომის იმას ამტკიცებდა, რომ მოხდა სწორეთ ის რაც უნდა მომხდარიყო, რასაც ყველა ელოდა, რაც შედეგი არის მთელ თაობათა დაგუბებული გრძნობისა და სომხების მუხანათური პოლიტიკისა.

არავის სჯეროდა აქამდის, რომ სომხები საქართველოს ომს გამოუცხადებდნენ: საჭირო იყო უდანაშაულო მსხვერპლი ნაწამებ ქართველ სანაპიროთა მოდარაჯეებისა, რომ გამოფხიზლება ეგრძნოთ ქართველებს. ამ უდანაშაულოთ დაღვრილმა სისხლმა გამოიწვია ის შთაგონება და პათოსი, რომლითაც ალაპარაკდა ნოე ჟორდანია, რომელიც შემდეგ გადაედო მთელ პარლამენტს და შეჰქმნა ერთსულოვანი პატრიოტული აღფრთოვანება.

სომხეთმა გამოუცხადა ომი საქართველოს. კაჩაზნუნის მთავრობამ იმდენი კადნიერება გამოიჩინა რომ სომხური ჯარების ნაწილები გამოემგზავრა მოღალატურათ საქართველოსაკენ, რომელსაც სომხეთი არა ერთხელ დაუფარავს და გადაურჩენია სრულ მოსპობას და განადგურებას.

ამოწურულია კიდეც ყველა ზომები მორიგებისა და დათმობისა: ყველა დარწმუნდა, რომ დაშნაკელების „მაუზერები" თავისით დაიწყებენ სროლას, იმდენათ არის მათში დაგუბებული საქართველოსადმი შური და მტრობა.

იარაღს იარაღით უნდა გაუსწორდეთ! მეტი საშუალება არ არის და იარაღით უნდა მოეთხოვოს პასუხი კაჩაზნუნის ვერაგ მთავრობას! ასე გაათავა თავის სიტყვა ნოე ჟორდანიამ: მთელ დარბაზს მოედო ამ სიტყვების ალი, და ალბათ ასევე მოედება საქართველოს დემოკრატიას და შემდეგ მთელ საქართველოს.

ოვაცია, რომელიც გაუმართეს პრემიერმინისტრს იყო ერთსულოვანი, რომ ადგილი არ ქონოდა ერთ სამარცხვინო ინციდენტს. როდესაც მთელი პარლამენტი ფეხსე ადგა „ესერ-დაშნაკელი ნოქრები" უნახავ კადნიერებით და უსირცხვილოთ თავიანთ სკამებიდან არ დაიძრნენ.

ამ ქამურმა საქციელმა ააღელვა მთელი პარლამენტი და „დემონსტრანტები" გააგდეს დარბაზიდან; თან მიჰყვებოდენ ხმები: „ჯაშუშები, პროვოკატორები".

ხოლო ინციდენტმა კიდევ უფრო გაარღმავა დეპუტატების აღფრთოვანება.

ერთი - ერთმანეთზე გამოდიოდენ ორატორები და ამტკიცებდენ იმ ვერაგ განზრახვას, რომელსაც გულში ატარებს არარატის რესპუბლიკის მთავრობა და რომელმაც ასე საბედისწეროთ აიტანა დღეს სომხეთის ერი.

აღარ ისმოდა ძველი გაცვეთილი რევოლუციური ფრაზეოლოგია, ყველა დეპუტატში ლაპარაკობდა აღელვებული პატრიოტი.

ასეთი იყო სიტყვა ვ. ჯუღელის, სახალხო გვარდიის სარდლისა, რომელიც ომში წასვლის წინ ლაპარაკობდა, რომ გვარდია მზათ არის ომისთვის და უჩვეულო აღფრთოვანება ეტყობაო.

ხშირად აწყვეტიებდა სიტყვას ვ. ჯუღელს ის ხალხი რომელიც გუშინწინ გვარდიის პარადზე სკეპტიკურ ღიმილს არ მალავდა.

აშკარა იყო, რომ ყველას გადაედო გრძნობა თავდაცვისა და სახლში შემოჭრილ მტრების განდევნისა.

აგრეთვე ერთსულოვანი აღტაცება გამოიწვია მაჰმადიანთა წარმომადგენელის ბ. ახვერდოვის დარბაისლურმა და გულწრფელმა სიტყვამ.

ამ დეპუტატმა მოიგონა თუ როგორ იბრძოდენ უწინ ბორჩალოში თათრები ალექსანდრე ბატონიშვილის დახმარებით და როგორ გადაუხადეს შემდეგ ბორჩალოს თათრებმა ქართველებს ეს პატივისცემა, როცა ქართველებთან ერთად ებრძოდნენ ერთმორწმუნე სპარსელებს თბილისში. ეხლაც სდგება ბორჩალოში მოხალისეთა რაზმები, რომ დაიხსნან თავიანთი სამშობლო საქართველო.

ასეთი იყო განცხადება ელინთა წარმომადგენელისა, რომლის სიტყვას მით უფრო მნიშვნელობა ეძლევა, რომ ბორჩალოს მაზრაში საკმაოდ დიდი რიცხვია ბერძენთა ახალშენისა.

როცა სამხედრო მინისტრმა გადასცა პარლამენტს, როგორი თავდადებით და განწირვით იბრძოდა ქართველი ჯარი, მოღალატე სომხებით გარშემორტყმული და როგორი გმირობა გამოიჩინა, რომ წრე გაერღვია და სხვა ნაწილებს შეერთებოდა დარბაზი ტაშისცემად გადაიქცა.

ყველა გრძნობდა, რომ ქართველი ჯარი არას დროს არავის ანახებს ზურგს და მუდამ მზად იქნება დაიცვას თავის სამშობლო გარეწარ მტერისაგან, ამაში გამოითქმოდა აგრეთვე პატივისცემა დაღუპულ გმირებისადმი, რომელთა კეთილშობილება მუდამ გასწმენდს ახალ საქართველოს თავის წმიდა სისხლით.

აზრი პარლამენტის ამ სხდომის ის იყო, რომ აშკარა გახდა სომხების ომის გამოცხადება და გაუგებრობა იყო მხოლოთ რომ ხალხს ამდენხანს არ აძლევდნენ ნათელ ლოზუნგს — რომ ომი დაწყებულია და ლაპარაკობდენ რაღაც კონფლიქტზე.

ომით დატანჯული საქართველო კიდევ გახვიეს ომის ცეცხლში, მაგრამ როცა საქართველოს დამოუკიდებლობას ებრძვიან, იქ საქართველოს მაჯა არ დაიღლება და არც მოდუნდება.

ეს პირველი ომია ქართველისა და სომხის.

მხოლოთ ღალატს და უთაურობას შეუძლია შესცვალოს ისტორიის განაჩენი.

გამარჯვება უნდა ეკუთვნოდეს მას და სამართლიანობის მატარებელს ხალხს, ორივე ეს თვისება აქვს საქართველოს.

უმადურობა და მუხანათობა უნდა დაისაჯოს—და თუ არასდროს არ ყოფილა გამარჯვებული სომხეთის ხმალი, მოღალატე დაშნაკელების ხელში მაინც ვერასდროს ვერ გაიმარჯვებს.

ეს ომი გამოაფხიზლებს ქართველ ხალხს და დაუკარგავს ილიუზიების რწმენას სომხების კეთილმეზობლობაზე და მეტ ენერგიას მისცემს სახელმწიფო შემოქმედებას. აგრეთვე ერთხელ და სამუდამოთ შემოიხაზება მისი სახელმწიფო საზღვრები, რომ შემდეგისთვის ადგილი არ ჰქონდეს შხამიან ირენდენტიზმს.

## დაუყოვნებლივ!

ფანტაზიები და სურვილები წარიშალნენ.

სინამდვილემ თავისი უძლიერესობა დაგვანახა. სომხეთის და საქართველოს ძირითადი სადაო საკითხი ხმალს გადაეცა საბოლოო გადასაწყვეტად.

მეტია, სრულიად მეტი იმის მტკიცება, რომ საქართველო ცათამდის მართალია და სომხეთი კიდევ ჯოჯოხეთის ძირამდე მტყუანი; ან რომ საქართველო თავის სამკვიდრებელს იცავს, რაც მისი ყოფილა ათასთა წელთა განმავლობაში, რაც მისია და მისივე უნდა დარჩეს, თუ რომ საქართველოს თვისი ბედის წიგნი არ დალუპვნია; რა მოსატანია, რომ სომხეთი, წინაამდეგ ყოველგვარ უფლებისა, იმას ეპოტინება, რაც მისი არასოდეს არ ყოფილა და რაც საქართველოს სხეულის შეხორცებული ნაწილია! ყველაფერი ეს აკადემიური კამათობის სამკაულებია და გონების საპაექრო მასალა. რა ერთხელ სომეხთა კოლექტიური ნებისყოფა იმის წასართმევად აიკაზმა და ამოქმედდა, რასაც ქართველთა კოლექტიური ნებისყოფა ვერას გზით ვერ დასთმობს და რა ერთხელ ორივე მხრიდან ესეთი გარდაწყვეტილება აბსოლუტის შეუდრეკელობით წამოყენდა, მორჩა და გათავდა: დანარჩენი ყველაფერი ზედმეტია. ეს ორი, ერთი მეორის მომსპობი, გარდაწყვეტილება გამომდინარეობს ორი ერთი-მეორის უარმყოფ რწმენისაგან. და ეს რწმენანი ცალ-ცალკე ორს ისეთ კოლექტიურ სხეულში არიან ჩაფესვებულნი, რომელთა ჩამოქნაში ათასი წლები ცალ-ცალკე ხუროთმოძღვრობდნენ ერთი-მეორის საიდუმლოთ, ერთი-მეორის დაუკითხავად და რომელთათვის მომავალი ჟამთა დენანიც ისევ ისე ცალ-ცალკე იმუშავებენ. მრავალ მორფოლოგიურ მზგავსებასა და ფსიხო-ფიზიოლოგიურ ფუნქციათა ნათესაობასთან ერთად, ამ ორ სხეულ შორის, როგორც ორ განუძეორებელ ინდივიდ შორის, და ერის გარდუვალი უარისყოფა; ეს ორი სხვადასხვა ძირია, წარმოშობით, გარე-გამოცხადებით და მისწრაფებით. და როდესაც სადაო საკითხი ამ ძირითადი, არსებითი სხვადასხვაობის წამონაშობია, მაშინ ვერავითარი საბუთი მორალურ-უფლებრივი ხასიათისა ვერ გასჭრის. სიტყვა ეძლევა სხვა საბუთს: რკინას და ცეცხლს. ამათ მოაქვთ კატეგორიული დამთავრება, ან განადგურება, ან გამარჯვება. შეიძლება გამარჯვება წილად ჰხვდეს, ვინც მორალურად და უფლებრივათ დამნაშავეა.

გნებავთ, თუ არა — ეს ასეა. აქ მარხია საიდუმლო იმისა, რომ ცხოვრებას უფრო ძლიერად განაგებს სხვა რამ ძალა რეალური, ვიდრე უფლებრივი ნორმა და საბუთი. პიროვნების თუ ხალხთა ცხოვრებაში ამ ძალას იშვიათად უხდება ლაპარაკი, მაგრამ როდესაც ალაპარაკდება, იგი ყველაფერს ადუმებს და ჩრდილავს.

დღეს საქართველოსა და სომხეთში ეს ძალა ალაპარაკდა. ჩვენი ერთად-ერთი მიზანია—აზღვავებული მტერი გავანადგუროთ და ჯავახეთი-ბორჩალო ამიერიდან ხელუხლებელი გავხადოთ სომეხთა ზრახვისათვის. სომხების მიზანია ჩვენი განადგურება და წართმევა ჩვენი მამა-პაპეული სამკვიდრებელის. სამკვდრო-სასიცოცხლო შებმაა. ან საქართველო იქნება მთლიანი და ყველა თავის ორგანიულ-ისტორიულის ნაწილებით, ან იგი სულ არ იქნება. უზენაესი მომენტია. გვმართებს საამისო სიდიადე საქართველომ იცის თავისდადება. სამშობლოს საკურთხეველზე მსხვერპლის ატანა გვიხარიან.

მაგრამ საჭიროა ამ თავითვე თადარიგის დაჭერა, საჭიროა ამ თავითვე მიღება ენერგიული ზომების, რომ წინდაუხედაობის და გულჩვილობის გამოისობით არ დაიქცეს ქართველი მეომრის ზედმეტი ერთი წვეთი სისხლი. ამაში პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა. აქამდის მასში მარტო რბილი ხორცი-ღა მოსჩანდა. დღეს უნდა დაგვანახოს რომ სხეულში ძვლებიც აქვს და საგულეში რკინის გული.

თბილისი გასაწმენდია.

ათიათასჯერ გამოგვეცხადა, რომ აქ აუარებელი სამჭედლოებია, სადაც ჩვენი დამოუკიდებლობის მტრები სხედან და საქართველოს დასაქცევათ ყუმბარებს ასხამდნენ და ხმალს ლესავდნენ. ეს სახელოსნოები უნდა დაიშალოს და ხელოსნები უნდა იქმნან დაჭერილნი. რუსულ-სომხური გაზეთები, რომელნიც თავაშვებულად და უტიფრად ილაშქრებდნენ და ლაშქრობენ ჩვენს წინააღმდეგ, უნდა დაუყონებლივ იქმნან დაკეტილნი. შეუძლებელია, თბილისის გაზეთები ბედავდნენ და გვედავებოდნენ ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიას. ვაკხანალია ელვის სისწრაფით უნდა აილაგმოს. ვინ არ იცის, რომ საქართველოს წინააღმდეგ სომხეთის გამოლაშქრება იდეოლოგიურად და ტეხნიკურად თბილისში მოეწყო, რომ ის აქ ჩაისახა და აქვე ხორცი შეისხა. აქ იყო და არის მათი სამხედრო ტეხნიკური და იდეოლოგიურ-პოლიტიკური შტაბები. თბილისშია ცენტრალური ორგანიზაცია ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლ დაშნაკცუტუნის პარტიისა. მთავრობა ვალდებულია უწინარეს ყოვლისა დაკეტოს და დაშალოს ეს მეამბოხე, ამაფეთქებელი სხვადასხვა სახელოსნოები, გაზეთები, ორგანიზაციები. მთავრობა ვალდებულია უსაქმო, აშრევი და ჩვენი დამოუკიდებლობის ძირის გამომთხრელი პირები დაიჭიროს და ციხეში ჩასვას. დიდი ხანია ყველა ეს ელემენტები ცხადად და აშკარად საქართველოს დამოუკიდებლობას რომ ებრძვიან. ამის თაობაზე ბევრი გვიწერია და ბევრი რამ გვითქვამს, მაგრამ დღემდე მთავრობას არავითარი ენერგიული ზომები ამის წინააღმდეგ არ მიუღია. ძველ ანგარიშს არ ვასწორებთ მთავრობასთან, მაგრამ დღეს, როდესაც ჩვენი სამშობლო სომხეთმა ომში ჩააბა, და საქართველოს მთავრობამ ეს გამოწვევა ძალა-უნებურად მიიღო და ხალხს მიმართა მსხვერპლის გასაღებად, საჭიროდ მიგვაჩნია ხმამაღლა ვუთხრათ: ჩვენ თქვენთან ვართ, მაგრამ დაუყოვნებლივ გასწმინდეთ ჩვენი ქვეყნის გული, ჩვენი თბილისი, იმ ბოროტ-განმზრახველ და სახელმწიფო დამნაშავე ელემენტებისაგან, რომელნიც აქ ბუდობენ და, რაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, მას აქეთ, დღე და ღამ საქართველოს დასამხობათ ზრახვენ და მოქმედებენ.

გასწმინდეთ თბილისი, რომ აქ შეიძლებოდეს უშიშარი მუშაობა და საქმიანობა. ეს არის პირველი საწინდარი ბრძოლის ველზე საქართველოს ჯარის გამარჯვებისა.

**სპ. კედია.**

## ჩვენ ვითხოვთ სისასტიკეს!

გათავდა სიზმარი სამარცხვინო უმოქმედობისა...

დამამცირებელი შეურაცყოფისათვის იღებს მახვილს საქართველო და ამ მახვილმა უნდა გაანათოს ჩვენი სამშობლო მჭრელი ელვარების სიმშვენიერით.

„ის ვინც მომხრეა საქართველოს რესპუბლიკისა, ჩვენთან იქნება"—

ეს არის ბრძანება მთავრობის თავმჯდომარის

და ამ ბრძანებით მასთან იქნება მთელი საქართველო.

„ის ვინც ამაში მხარს არ დაგვიჭერს მტერია საქართველოსი და აქ **ვერ დარჩება**".

არამც თუ ვერ დარჩება, მათ აქ **ვერ დავარჩენთ** და პარლამენტის გუშინდელი დემონსტრაცია სომეხთა ჯაშუშების წინააღმდეგ, ზღვათ გადასული მოთმინებაა ესოდენი ჩვენი თვინიერების.

ზიზღით და კრულვით გაიდევნა პარლამენტიდან თარხანოვი და თუმანოვი, მაგრამ მათთან ერთად უნდა

გაინდევნოს თბილისიდან და სრულიად საქართველოდან ყველა ისინიც, დღესაც რომ თავი ვერ შეუკავიათ და ჩვენს თავისუფლებას ორპირულად უუსისინებენ.

პარლამენტი დამწყებია ამ ამბის და ეს უნდა მოხდეს ყველგან.

ქალაქის საბჭოს ვაკხანალიას, რომელიც კიდევ განმეორდა ორშაბათ ღამეს, ჩვენი მოთმინება ვეღარ აიტანს და თუ მთავრობამ დროზედ არ გადენა ეს მტრის ჯაშუშები, საოცარი იქნება ქართველების შურის ძიება...

ნუ თუ მთავრობას შეუძლია თავის დედა ქალაქში მოითმინოს მეორე „სახელმწიფო“, რომელიც მოღალატურად მტრობს მას?

ნუ თუ შეუძლია მას მოითმინოს, რომ მისი მოქმედება დამარცხდეს თბილისშივე და მაშინ, როდესაც ჩვენი სხეული სისხლიდან იცლება სამშობლოს დასაცავად, მთავრობის მოქმედებას კიდევ გამართლება სჭირდება?

ჩვენ ამის მოთმენა აღარ შეგვიძლია!

ნოე ჟორდანიას პატრიოტულ პათოსს, რომელმაც გუშინ მთელი პარლამენტი აანთო, უნდა ჰქონდეს გამართლება მის მოქმედებაში.

და ჩვენ გვჯერა, რომ სოციალ-დემოკრატიის ჭაღარა მეთაური, მთელ საქართველოს ბელადობასაც შესძლებს და ამისთვის კი ყოველი მისი სიტყვა შეუდრეკელი უნდა იყოს.

ვალიკო ჯუღელს პარლამენტმა ოვაცია გაუმართა. და ალბად ესევე შეხვდება მას საქართველოც, და ისიც იმედით წავიდა ომში:

„თუ საზოგადოება ჩვენ, ომში წასულებს, დახმარებას გაგვიწევს, იმ დროშებს, რომლებითაც ბრძოლაში მივდივართ, გამარჯვებულნი ამაყად ჩამოვიტანთო“.

ჩვენ გვჯერა ამ დროშების გამარჯვება, მაგრამ ჩვენ შიგნითაც უნდა გავიმარჯვოთ და ამისთვის ჩვენ სისასტიკეს ვითხოვთ ყველა მტრების წინააღმდეგ!

**ლ. ჯაფარიძე.**

# საქართველო-სომხეთის ომი

## პარლამენტში

### მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია

ბატონებო, მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო იმ დროს, როცა მსოფლიო ომი ქრება, როცა უაღრესი იმპერიალისტური ქვეყნები თავის ხმალს აგებენ ქარქაშში და მსოფლიო ზავი მზადდება, აი ამ დროს სომხების მთავრობა მალულად, ჩუმად ჩვენ საქართველოს რესპუბლიკას თავს დაესხნენ, ეხლა ირკვევა აშკარად, რომ მან, ან მისმა აგენტებმა ჯერ მოატყუეს სომხური სოფლები აჯანყებით, შემდეგ ეს თითზე დაიხვიეს და თავისი რეგულიარული ჯარები ჩვენ საზღვრებში შემოიყვანეს. ამითი სომხეთის მთავრობამ დაარღვია საუკუნოებრივ შემუშავებული კეთილმეზობლური განწყობილება. მან ლახვარი ჩასცა როგორც ქართულ ისე სომხის ხალხის ისტორიულ ტრადიციას. მათ შორის არასოდეს ომიანობა არა ყოფილა, და აი ეხლა ამ მთავრობამ ორივე ხალხი ჩაითრია ამ სამარცხვინო საქმეში. თუ კი საშუალო საუკუნოებში, იმ ბარბაროსულ დროს, ორივე ერის მთავრობა ახერხებდა უომრად, მეგობრულად ცხოვრებას, რა მოხდა დღეს მე-20 საუკუნეში, რომ სომხების მთავრობა ომის გზას დაადგა, ჩაიდინა დიდი ისტორიული დანაშაულობა და ეს დანაშაულობა დარჩება წაუშლელი ისტორიულ შავ ფურცლებზე. კაჩაზნუნის მთავრობამ პასუხი უნდა აგოს როგორც ხალხის ისე სამართლიანობის წინაშე. მან უნდა მოიყვანოს ის საბუთები, რის ძალით შეუძლიან მას ეს თავისი მოქმედება გაამართლოს.

ჩვენ უკვე ვიცით ეს საბუთები და ეხლა მე მინდა, რომ ეს საბუთები, რომელიც ჩვენ გვაქვს თქვენ გაგაგებინოთ, რომ თქვენ გასაჯოთ თუ მართლა ეს საბუთები წაავავდეს საბუთებს და თუ მართლა შეიძლება ამ საბუთების ძალით ასეთი დიდი ისტორიული დანაშაულობის ჩადენა. ისინი გვწერენ: საზღვრებზე მდებარე ჩვენ ტერიტორიაზე ერთ სომხის სოფელში მიაყენეს შეურაცხყოფა თქვენმა ჯარისკაცებმა იქაურ მცხოვრებლებს და ჩვენ ამას ვერ მოვითმენთო. აი, ბატონებო, მათი პირველი საბუთი. და მერე საიდან იციან, რომ ეს ასე მოხდა და თუ მათ გაუგიათ, რატომ ჩვენ არ შეგვატყობინეს, რატომ არ მოგვითხრეს, მართალია ეს თუ ტყუილი. ან და საიდან იცოდნენ, რომ ეს მართალი არის, და თუ ასეთი ფაქტი მოხდა, რატომ ეგონათ, რომ ჩვენ თვითონ დამნაშავეთ არ დავსჯით და ან საიდან მიიღეს ის უფლება, რომ ჩვენ საშინაო საქმეში, ასეთ წვრილმან კითხვაში ჩაგვერივნენ. სად, რომელ ქვეყნებში მომხდარა, რომ ასეთ წვრილმან საქმის გამო ერთი სახელმწიფო ომს უცხადებს მეორე სახელმწიფოს. აქედან თქვენ ხედავთ, რომ ეს საბუთი მჩატე, ისეთი გამოგონილია, რომ ვეოავითარ საბუთობას ეს საბუთი ვერ გასწევს. ვერავითარ სამსჯავროს წინაშე, ვერავითარ მთავრობის წინაშე, ვერასოდეს ვერ წარსდგება. მეორე საბუთი:—თქვენ დაიჭირეთ, ამბობენ ისინი, სადაო რაიონები. მაგრამ, განა ეს ახალი ამბავი არის? ჩვენ დავიჭირეთ ბორჩალოს ის ხაზი, რომელიც გვეჭირა ამ ორი თვის წინად, ეს მოხდა მათი თანხმობით. და თუ შეიძლებოდა ამ რაიონების დაჭერა, რატომ მაშინვე არა სთქვეს, რომ ამ რაიონების დაჭერაა ომის საბაბი, არა, მაშინ ეს მათ არ უთქვამთ. მაშინ ჩვენ მათთან გვქონდა მოლაპარაკება. თქვენ გახსოვთ, ჩვენი და მათი ჯარი პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს. და მათთვის საზღვრების საკითხი ახალი არ არის. ჩვენ თავის დროზე გამოვაცხადეთ, რომ საქართველოს საზღვრებს ჩვენ ვთვლით სრულიად თბილისის გუბერნიას, და ამ გუბერნიას დავიჭერთ. და თუ ვისმეს აქვს რამ სადავო, მობრძანდით და ვილაპარაკოთ. იმავე ძალით ჩვენ დავიჭირეთ ჯავახეთი, ესეც არ არის ახალი ამბავი. ჩვენ დიდი ხანია, ეს არ დაგვიმალია, გავგზავეთ იქ ჯარები და დავაარსეთ განსაკუთრებული საგენერალგუბერნატორო ახალციხეს და ახალქალაქის მაზრებში. ჩვენ ამაზე ვიქონიეთ მიწერ-მოწერა ოსმალეთთან. ოსმალეთი წავიდა და ჩვენ იქ შევედით. ისე რომ ეს სრულიად არ მომხდარა უცბად და საიდუმლოთ ეს არავისთვის ახალი ამბავი არ არის. ეს, ბატონებო, არის სულ მათი მთელი საბუთები. ამაზე მეტი საბუთები მათ არ მოეძებნებათ და ამაზე მეტი მათ არც მოუწერიათ. აქედან თქვენ ხედავთ, რომ ეს საბუთი ძველია და არის წამოყენებული მხოლოდ იმიტომ, რომ გაამართლონ თავისი საქციელი. თქვენ კარგად იცით, რომ მგელმაც არ შეჭამა კრავი უსაბუთოდ, მან ის საბუთი წამოაყენა, რომ კრავმა წყალი აამღვრიაო და მიტომ უნდა შევჭამოვო. მაგრამ რომელი სერიოზული ადამიანი დაიჯერებს, რომ ის მოქმედებდა ამ საბუთით? ის მოიქმედებდა მას იმიტომ, რომ მოითხოვს მისი ბუნება შეჭამოს ის რის მოხელებაც შეუძლიან და მე მგონია, რომ კაჩაზნუნის მთავრობას ასეთი გონება აქვს. (ვეშაპელი—ნუ თუ ჩვენ კრავები ვართ? როდემდის უნდა ვიყვნეთ კრავები?) მე მგონია, ბატონებო, რომ კაჩაზნუნის მთავრობას ასეთი ბუნება აქვს, მას არ შეუძლიან მშვიდობიან განწყობილებაში იყოს მეზობლებთან, მას უნდა ჰქონდეს მუდამ ვისმესთან ომი, შუღლი და ჩხუბი. აი ეს არის მთავარი მიზეზი იმ ფაქტებისა, იმ საქმისა, რომელიც ხდება ბორჩალოს მაზრაში და არა ის მიზეზები, რომელიც ჩვენ წარმოგვიდგინეს. ჩვენ გვგონია ერევნის მთავრობამ იცის და დააფასებს იმას, რომ თუ მას დღევანდელ პირობებში, ისე თუ ისე, თათრებთან ცუდი განწყობილება აქვთ, სამაგიეროდ ქართველებთან აქვთ კარგი განწყობილება და ჩვენ კარგი განწყობილება გვქონდა მათთან და მათ სრულიად მოულოდნელად ჩვენდამი კეთილი განწყობილება კი ამ ხაირად ჩაშალეს, ჩვენდა და მათ შორის დიდი ხნის გადადებული ხიდი ჩალეწეს და დღეს თავის თავს იმართლებენ. რა იმედით? ვფიქრობთ მათ ალბად რაიმე იმედი აქვთ რომელიღაც ძალისა, მაგრამ არა მგონია ეს იმედი მათ გაუმართლდეთ. არა მგონია იყოს ისეთი სახელმწიფოებრივი ძალა, რომელიც გაამართლებს ასეთ ვერაგულ მოქმედებას, ასეთ თავდასხმას. მართალია ჩვენ მივმართეთ გარეშე ძალას, მგრამ ჩვენ მივმართედ არა ამიერ კავკასიის ერთა წინააღმდეგ, არამედ იმიერ კავკასიის ერთა წინააღმდეგ.

ჩვენ ამ ძალის საშუალებით ერთ და იმავე დროს დავიფარეთ არა მარტო ქართველები, არამედ დიდძალი სომხები (მართალია). ჩვენ ამას ვატარებთ, მხოლოდ აი ბატონებო კაჩაზნუნის მთავრობა ემყარება ვიღაც-რაღაც ძალას არა ამიერ-კავკასიის ერთა სასარგებლოდ, არამედ ჩვენ წინააღმდეგ.

უნდა დაუმატოთ, რომ აქ არის 2 პოლიტიკა, ორი ხაზი.

ერთი არის ჩვენი, მეორე არის მათი. ჩვენი პოლიტიკა არის მიმართული ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობისაკენ. მეორე ხაზი არის მიმართული იმისკენ, რომ ეს სოლიდარობა სამუდამოდ მოისპოს და შუღლი და მტრობა, რომელიც სამწუხაროდ არსებობს სომეხთა და თათართა შორის, რომ ეს მტრობა და შუღლი სამუდამოდ სუფევდეს ქართველებსა და სომხებს შორის.

ჩვენ, ბატონებო, ამ ხაზს ვებრძვით თავიდანვე და ვებრძვით დღესაც.

აქედან ცხადია, რომ თვითონ სომხეთში და ალბად სომხის მთავრობაში ჩვენ ვიცოდით წინათაც, რომ იყო 2 მიმართულება. ერთი მიმართულება იყო სწორედ ის ჩვენთან შეთანხმებულიყვენ, მეორე მიმართულება იყო მიმართულება მაუზერებისა, რომ ძალით იყოს გადაწყვეტილი საქმე. მე უნდა ვსთქვა, მაშინვე ეჭვი დამებადა, როცა პირველი მიმართულების მეთაური კარჩიკიანი მოჰკლეს, მაშინვე ვსთქვი ალბად საქმე ცუდათ მიდის მეთქი (მართალია, ვეშაპელი: რა ზომები მიიღეთ?) უეჭველია არის რამ ამ უკანასკნელ სამ დღეში, ამ უკანასკნელ დროს, ან შეიძლება წინათაც ეს მეორე სამხედრო პირებს რომელნიც მომხრე არიან, რომ მაუზერებით გადაწყდეს საქმე, გაუმარჯვიათ ერევანში და დღეს ჩვენ გვაქვს ომი.

ასე თუ ისე აქ კი ამ დიდ ისტორიულ დანაშაულობის პასუხისმგებელნი არის მთავრობა ქაჩაზნუნისა (ხმა: პარლამენტი). ჩვენ მოვითხოვთ, ჩვენი მთავრობა მოითხოვს, რომ ამ საქმეს სერიოზულად შევხედოდ, რომ მთელი საქართველო ფეხზე დასდგეს და საუკეთესო მებრძოლნი გამოგზავნოს. იქ სადაც უფლება არა სჭრის, სადაც არა სჭრის ერთა მოლაპარაკება, სადაც არა სჭრის ერთა უფლება მე ვამბობ—დეე ხმალი იყოს ამ უფლების გადამჭრელი. სადაც არა სჭრის გონიერება, დეე იარაღმა გადასჭრას ეს კითხვა—ჩვენ მაგისი არ გვეშინიან. (მქუხარე ტაში).

ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ ვიღონეთ ყოველნაირი ღონე, თქვენ იცით, ქვეყანამ იცის, რომ ჩვენ ყოველნაირი ზომები მივიღეთ, რომ ეს ხმალი აგვეშორებინა. ჩვენ ვგონებთ, რომ ჩვენი საქმე არის წმინდა და ჩვენ მოვითხოვთ საქართველოს ყველა მოქალაქისაგან განურჩევლად პარტიისა, რადგანაც დღეს ვინც არ არის ჩვენი მომხრე, ის არის ჩვენს წინააღმდეგ, არის ჩვენი მტერი და ისინი ჩვენს საქართველოს რესპუბლიკაში ვერ დარჩებიან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეს დადგა ისეთი დრო, როცა ასე თუ ისე ჩვენ უნდა დავამტკიცოთ ამიერკავკასიის ერთა შორის ერთი უფლებრივი მდგომარეობა და ვინაიდან ეს უფლებრივი მდგომარეობა არ ჰსურს ერევნის მთავრობას, ამიტომ ჩვენ ეს თავზე უნდა მოვახვიოთ ერევნის მთავრობას იარაღით ხელში.

თუ დღეს დავმარცხდით, მე ვამბობ ამიერ-კავკასიაში სამუდამოდ დარჩება შუღლი და მტრობა და ამიერ-კავკასიაში ან ფედერაცია ან კონფედერაცია შეუძლებელი იქნება. ჩვენ მოუწოდებთ საქართველოს დემოკრატიას საბრძოლველად არა სომხის ხალხთან, პირიქით სომხის ერი უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ სომხებსა ან ქართველთა შორის, სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკის შორის არის მუდმივი უფლებრივი მშვიდობიანური განწყობილება, არამედ, ბატონებო, ჩვენ მოვითხოვთ შევებრძოლოთ იმ მთავრობას, იმ სამხედრო მთავრობას და პარტიას, რომელმაც ეს საშინელი და უდიდესი დანაშაულობა ჩაიდინა (დადიანი. სომხეთის პარლამენტი რა აზრისაა?) ბატონებო, მე არ მოგახსენებთ სომხეთის მთავრობის აზრს. მე მოგახსენებთ ჩვენი მთავრობის აზრს.

ვინც ჩვენ წინააღმდეგ აღმართა ხმალი და იარაღი, ჩვენც უნდა ავიღოთ იგივე, იარაღით უნდა გავცეთ პასუხი. ამის ძალა ჩვენ შეგვწევს, საჭიროა მხოლოდ თვითეულმა მოქალაქემ, თვითეულმა მოხელემ თავისი მოვალეობა შეასრულოს და მტერს მტრულად შეხვდეს. (მხურვალე ტაში, საბჭო ფეხზე დგება სომხები: თარხანოვი და თუმანოვი ფეხზე არა სდგებიან. საბჭო აიძულებს მათ ფეხზე ადგომას. თარხანოვი და თუმანოვი საბჭოს სტოვებენ. ისმის ხმები—გასწით! Шпіоны!).

**გ. გვაზავა.**

მამულიშვილნო! ლაპარაკის დრო არ არის, დროა მოქმედებისა. მაშინ, როდესაც მტერი ვერაგულად დაგვეცა და იღვრება ქართველების სისხლი, ვის შეუძლიან ლაპარაკი?! მერე ვინ დაგვესხა? ის ერი, რომლისათვის საუკუნეთა განმავლობაში ყოველთვის ღია იყო საქართველოს კარი, რომელიც მუდამ ჰპოულობდა საქართველოში ძმურს განწყობილებას და მყუდრო თავშესაფარს, სწორედ ეს ერი გვებრძვის, დაგვეცა ზურგში ხანჯლით. ვინც ვერა ჰგრძნობს ეხლა ამ ეროვნულ შეურაცხყოფას, ვინც ვერა ჰგრძნობს, რომ ცაში დადიან წარსულ გმირების ლანდები და საიდუმლო ძრუანტელი უვლის წინაპართა საფლავებს, ის არ არის მამულიშვილი, ის ჩვენთან არ იქნება, და ვინც ჩვენთან არ არის, იგი ჩვენი მტერია. უნდა განვაცხადო საყოველთაოდ, რომ ამ წამს არ არსებობს პარტიული დანაწილება, ამ წამს მხოლოდ ერთი პარტიაა—ქართველი ერი, ერთის აზრით, ერთის გრძნობით გატაცებული, რომ დაიცვას თავისუფლება, თავისი ეროვნული ღირსება და პატიოსნება. გაუმარჯოს საქართველოს! (ტაში).

**ვ. ჯუღელი (ს.-დ.).**

მოქალაქენო, არც ერთ გალაშქრებაში, რომელშიაც ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი დემოკრატია იღებდა მონაწილეობას, არ ყოფილა ისეთი აღფრთოვანება და ერთსულოვნება რომელიც არის, იმ გალაშქრებაში, რომელსაც ვაწარმოებთ და ვიწყებთ სამწუხაროდ ჩვენ დღეს.

და თუ ესეთი ერთსულოვნება და აღფრთოვანება მთელ ჩვენს ხალხში და მის მებრძოლ ელემენტებში მიზეზი ამისი ის კი არ არის, რომ ჩვენ ომი გვიყვარს, რომ ჩვენ ომის მოტრფიალენი ვართ, არამედ ის, რომ ჩვენი ომის სიმართლე, ჩვენი საქმის სიმართლე გვწამს და როგორმე მთელი ჩვენი ძალღონით გვინდა, რომ ეს ომი ადრე ჩავაქროთ.

ესე ვაყენებთ ჩვენ საკითხს როდესაც ჩვენი რაზმები, მუდმივი რაზმები, რეგულიარული ჯარი და სახალხო გვარდია ერთმანეთს ასწრებენ და სიხარულით მიდიან ფრონტზე, ეს არის იმის მაჩვენებელი, რომ ამ ომში უთუოდ ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ რადგანაც სიმხნევეს, აღფრთოვანებას სარჩულად სიმართლე ედება, ჩვენი მხარეზე იქნება გამარჯვება (მქუხარე ტაში).

და მე მოქალაქენო, მინდა თვალი გადავავლო იმ ახლო წარსულს, როდესაც ვიცავდით იმ ხალხს, რომელიც დღეს ჩვენ წინააღმდეგ ამხედრებულა.

აი სწორედ ჩვენი წარსული არის იმის მოწმე, რომ ჩვენ არასოდეს არ ვხელმძღვანელობდით ნაციონალური შუღლით. და იქ სადაც რომელიმე ერი, რომელიმე ჯგუფი იჩაგრებოდა, ჩვენ ჩვენი ღონით, ჩვენი დახმარებით მივდიოდით მათთან და მათ ვშველოდით. ამას წინად, როდესაც თათრების ბრბოებთან ვაწარმოებდით ბრძოლას, შულავერი დიდ განსაცდელში ჩავარდა და ჩვენ განვიზრახეთ ამ შულავერის დაცვა. როდესაც შულავერს, სადაც განსაკუთრებით სომხები სცხოვრობენ, ირგვლივ ჰქონდა რკალი დარტყმული თათრებისა, ჩვენმა პატარა ჯგუფმა განიზრახა შულავერის დაცვა.

ჩვენ გავეშურეთ შულავრისკენ და სწორედ ამ ექსპედიციაში დავკარგეთ რამოდენიმე ჩვენი ძვირფასი ამხანაგი და სხვათა შორის ვალიკო შარაშიძე.

სადახლოში, როდესაც საშინელი ალი დაინთო სომხების და თათრების ურთიერთობაში, და როდესაც ერთის მხრივ იდგა დარაზმული სომხები და მეორე მხრივ დარაზმული თათრები, ქართველები შუაში დავდექით და უთხარით მათ: მიეცით ერთმანეთს ხელი, რადგანაც თქვენ, როგორც მშრომელი ხალხი, როგორც მუშა ხალხი, ერთმანეთის ძმები ხართ და თქვენ არ მოგცემთ აწიოკების და ომის ნებას. და მართლაც ეს ხალხი, რომელიც საომრად იყო მომზადებული დაიშალა და თავიანთ კერას დაუბრუნდა.

როდესაც ჩვენ ბოლშევიკები დავამარცხეთ სოხუმის ფრონტზე, დავიკავეთ სოხუმის ოლქი, ჩვენთან მოვიდნენ სომხის ნაციონალურ საბჭოს წარმომადგენელნი და გვითხრეს; ჩვენ გვინდა გადავსახლდეთ სოხუმის ოლქიდან რადგანაც მრავალი საფრთხე მოგველის და ჩვენ გვინდა ეს საფრთხე თავიდან ავიცილოთო ჩვენ უთხარით იმათ: საქართველოს დემოკრატია არის თქვენთან ერთად და თუ თქვენ, როგორც სომხებს, რაიმე საფრთხე მოგელით ჩვენი მთელი ძალღონით დაგეხმარებით თქვენ და თუ დახმარება ვერ შევძელით, ჩვენ თქვენთან ერთად დავიჩაგრებით. ჩვენ ყოველთვის ასეთ პოლიტიკას ვაწარმოებდით და ამასთანვე ისეთი მდგომარეობა არის, რომ არც ერთ ერის წინააღმდეგ არავითარი განსაკუთრებული ზომების მიღება არ გვინდა და არც ერთ ერის დაჩაგვრა არ გვსურდა. და დღეს ყველა ამ მაგალითების შემდეგ სწორედ ამ ერის წარმომადგენლები, სწორედ ის ჯგუფი, რომელიც ამ ერის საუბედუროთ და საბედისწეროდ გაჩენილა და რომელსაც სახელად ჰქვიან დაშნაკცაკანთა პარტია, რომელმაც დაღუპვის გზაზე დააყენა სომხის ერი, და ვამბობ თუ დაიღუპა სომხეთი ამ პარტიის ნამოქმედარი იქნება. აი სწორედ ეს ჯგუფი სრულიად მოულოდნელად ვერაგულად, ქურდულად თავს დაესხა ჩვენს მოდარაჯე რაზმს, როდესაც არავინ მოელოდა. ციციანოვის რაზმი დასვენებულად იყო, ჩაისა სვამდა, მაშინ, როდესაც ირგვლივ დაეცა მას მებრძოლი რაზმი. ეს რაზმი, მცირე რაზმი თითქმის სრულიად განადგურებულია. და სხვა ადგილებში, იმ დროს, როდესაც ომს სრულიად არ მოველოდით, როდესაც ჩვენ გვინდოდა მთელი ჩვენი ძალღონით მორიგება, სწორედ ამ დროს ავაზაკურად დაამზადეს ის სატევარი, რომელიც ჩვენ გულში ჩაგვცეს, მაგრამ ჩვენ მოწინააღმდეგეებს ეგონათ, რომ საქართველოს დემოკრატია, რომელმაც შექმნა თავის დამოუკიდებლობა, რომელმაც თავისი თავი გადაარჩინა, იმდენად სუსტი იქნება, რომ ერთი ქურდული დაკვრით შეიძლება ამ დემოკრატიის განადგურება.

ჩვენ კი ვიცით, მეგობრებო, რომ სწორედ საქართველოს დემოკრატია დღეს დგება ფეხზე და ჩვენთან, სხვათა შორის, სომხის დემოკრატიის საუკეთესო ნაწილი. ყველაზე უფრო პატიოსანნი მუშაკნი ჩვენთან ერთად არიან, ჩვენთან ერთად იბრძვიან. ეს სხვათა შორის იმის მაჩვენებელი არის, რომ ჩვენი საქმე სამართლიანია და სამართლიან საქმეში, ბოლოს და ბოლოს გავიმარჯვებთ. ზოგი ერთნი თითქმის სასოწარკვეთილებამ გაიტაცა. ისინი, ვინც არ იცნობენ სამხედრო მოქმედებას და სამხედრო მოქმედებას მხოლოდ მსხვერპლით სინჯავენ, ფიზიკურად, როდესაც გაიგებენ რამდენი კაცი მოკლეს იმათ სასოწარკვეთილება იტაცებს, მაგრამ ვინც უფრო ღრმად ჩაიხედავს საქმეში, ვინც გაითვალისწინებს იმას, თუ რა აღფრთოვანება გამოიწვია ამ ქურდულმა ავაზაკურმა თავდასხმამ, ის რასაკვირველია მიხვდება, რომ სწორედ დღეს იწყება ის საათი როდესაც გამარჯვება ჩვენს მხარეზე გადმოდის, თუ წინად ჩვენი რაზმი ყოველთვის რყევაში იყო, სულერთია სადაც უნდა წაგვეყვანა, დღეს ეს რყევა სრულად არ არის და დღეს, როდესაც ჩვენ ვიწვევთ 20 კაცს და 20 კაცის ნაცვლად მოდის 30 რომელთაც კარგად იციან, რომ დღეს ისინი სალხინოდ არ მოდიან, არამედ საბრძოლველად და თუმცა ბევრმა მათგანმა იცის, რომ ბევრი მათგანი იქნება ვეღარ დაბრუნდეს თვის სახლში, ისინი მაინც დიდის აღფრთოვანებით მიდიან ამ საპასუხისმგებლო საქმეზე, რადგანაც მათ კარგად იციან, რომ თავიანთ სისხლით, თავიანთ სიცოცხლით საქართველოს დემოკრატიას და საზოგადოდ დემოკრატიას იცავენ. და აი, სწორედ დღეს, როდესაც ერთის მხრივ ჩვენს რაზმს უკვე პოზიცია უჭერია და მეორეს მხრივ ახალი რაზმი იგზავნება იქით, მე მინდა გითხრათ შემდეგი:

მე ვიცი რომ ჩვენი ჯარი და ჩვენი სახალხო გვარდია კარგად იბრძოლებს. მაგრამ მე მინდა ისიც დავიჯერო, რომ მთელი საზოგადოება და განსაკუთრებით ის საზოგადოება, რომელსაც წარმოადგენენ ბ. ვეშაპელი და გაბაშვილი, ამ ჩვენს ბრძოლაში სავსებით მხარს დაგვიჭერენ (ვეშაპელი—წამოვალთ). თორემ მე მახსოვს მოქალაქენო, ბათომის ეპოპეია და სწორედ ბათომის ეპოპეიაში ჩვენ დავმარცხდით, არა იმიტომ, რომ ჩვენ სრულიად მოუმზადებელნი და სუსტნი ვიყავით, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოება ძალიან გულგრილად შეხვდა ამ ომს. აღდგომის დღეს, როდესაც ჩვენს ფრონტზე ჩვენი მეპარგულნი თავის სანგრებში იწვნენ თითქმის არავის გახსენებია ამ ფრონტის ბედი, გარდა ქუთაისის ქალთა საზოგადოებისა და ნახალოვკის მუშებისა.

როდესაც დღეს აქედან გავდივარ ვითხოვ, რომ ეს საზოგადოება, რომელიც პირდაპირ მონაწილეობას ვერ იღებს ამ ბრძოლაში, მაგრამ რომელსაც სწამს ამ ბრძოლის სიმართლე და დემოკრატიის გამარჯვება,—ჩვენ ვინც ამ ასპარეზზე მივდივართ არ დაგვივიწყონ და იმედია მთელი თავისი შეძლებით, მთელი თავის ძალღონით მხარს დაგვიჭერენ (ვაშა ტაში) და თუ ასეთი ერთსულოვნებ[illegible] როგორიც თქვენ გ[illegible] ლი ჩვენგანი შეძლებისამებრ მსხვერპლს გამოიღებს ზოგიერთი თავისი სისხლით იმიტომ რომ მას მხოლოდ სისხლით შეუძლიან სამშობლოს დაცვა, ზოგიერთს თავის თანაგრძნობით, მაშინ მე მწამს ამხანაგებო, რომ ეს ამართული წითელი დროშები, რომელსაც თქვენ გვატანთ ჩვენ, გამარჯვებულნი აქ ჩამოგიტანთ თქვენ. (ტაში).

**სამხედრო მინისტრი გიორგაძე.**

მოქალაქენო! მას შემდეგ, როცა თავის სურვილი პარლამენტმა წარმოსთქვა, და ეს სურვილი აქ მოვისმინეთ, მე, თამამად შემიძლია გადავცე იმ ჯარს, რომელიც ჩვენ საზღვრების დასაცავად მიდის,—რომ მთელი ქართველი ერი, მთელი დემოკრატია მასთან არის და მხარს დაუჭერს მას, აქ მძიმე პირობების ბრძოლის დროს, რომელიც დღეს არსებობს. (მხურვალე ტაში, „გაუმარჯოს საქართველოს!“).

დამერწმუნეთ, რომ ამ ახალგაზრდა ჯარმა ამ სამი დღის განმავლობაში დაამტკიცა, რომ მას შეუძლიან თვისი მკერდი გაუშვიროს მოწინააღმდეგე ტყვიას ეს დაამტკიცა მან მით, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ 3 დღის განმავლობაში, მოღალატურად იმყოფება აუტანელ პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ ის ჩავარდა ისეთ პირობებში, რომ სხვა ამ პირობებს ვერ აიტანდა, და დაიღუპებოდა მან გაარღვია წრეები მოწინააღმდეგებისა და მებრძოლულად, თავდადებით, ქართველურად (მხურვალე ხანგრძლივი ტაში, გაუმარჯოს!) გამოვიდნენ სამშვიდობოთ, გამოვიდა სამშვიდობოთ იმიტომ რომ ეხლა ახალი ძალა მოიკრიბოს. სასიქადულოთ ჩვენი ჯარი უნდა ითქვას, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ამ ჯოჯოხეთურ პირობებში იყო, თუმცა ბევრი დაიღუპა, მაგრამ არც ერთს ზურგი მტრისათვის არ უჩვენებია (მხურვალე ტაში). ეს უტყუარი საბუთი არის, რომ ჩვენი რეგულიარული ჯარი, ჩვენი სახალხო გვარდია, ჩვენი მუშები, გამგზავრნენ ერთად დღეს, ჩვენ საზღვრების დასაცავად, და დამოუკიდებლობის დასაცავად, შესძლებენ თავის მოვალეობა შეასრულონ პირნათლად თავის სამშობლოს წინაშე და თავის დემოკრატიის წინაშე. ეს ჩვენი ხმა, ეს თქვენი გამოძახილი, რომელიც მას მისწვდება, ისეთი გამოძახილია, რომელიც მთელ საქართველოს მოეფინება, ეს არის უმთავრესი გამომხატველი ძალა, ეს არის ზნეობრივი ძალა, რომელიც ერთად ამ ფიზიკურ ძალასთან, რომელიც ფრონტისკენ მიემგზავრება, შესძლებს ფსიხიკურ და ზნეობრივ ძალასთან ერთად შედუღებული დაიცვას ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა! („გაუმარჯოს საქართველოს!“ მხურვალე ტაში. საბჭო ფეხზე ადგ. აცილებს სამხედრო მინისტრს).

**თავმჯდომარე.** გთხოვთ მოისმინოთ რეზოლიუცია.

(მდივანი კითხულობს რეზოლიუციას).

**მ. დავარაშვილი.**

(ქართ. ისრაელი).

მოქალაქენო! ხალხის წარმომადგენელნო! ამ ისტორიულ მომენტში, როდესაც ქართველ და სომეხ დემოკრატიათა მტრებმა სისხლით მოპოვებულ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა განიზრახეს და როდესაც საქართველოს მტრებმა უაზრო სისხლის ნიაღვარი ასტეხეს, ასეთ დროს მე ვერ გავბედავ გაჩუმებას და საყოველთაოდ უნდა განვაცხადო სრულიად ქართველ ისრაელთა სახელით, რომ მთელს ჩვენს ძალ-ღონეს, ჩვენი ჭაბუკ-ახალგაზრდების სიცოცხლეს, ჩვენს ფიზიკურს, ზნეობრივ და მატერიალურ სიმდიდრეს დავსწირავთ ჩვენი ძვირფასი სამშობლოს საკურთხეველზე ქართველი ხალხისა და დემოკრატიის საკეთილდღეოდ.

ჩვენ კარგად გვესმის, როგორ დასცემს ჩვენს სახალხო მეურნეობას ეს ომი და ჩვენს პოლიტიკურ-ეკონომიურ მომავალს იმ ადგილების დაკარგვა, რომელნიც საქართველოს უდავო და უსაჭიროეს ტერიტორიას შეადგენს. ეს ჩვენს მტრებსაც ესმით და ამიტომაც ჩაგვცეს ასე მუხანათურად ისარი ზურგში, მაგრამ ჩვენ არ დავეცემით სულით, რადგან მოწმენი ვართ საქართველოს იმ მრავალ ამაღლება-დამცირებებისა, რომლებიდანაც მუდამ გამარჯვებულნი გამოვსულვართ. ასევე იქნება ახლაც. საქართველოს ვერავინ დასცემს. ეს უდავოა, მაგრამ როდესაც ჩვენს უმაგალითო წესრიგს და თავისუფლებას საფრთხეს უმზადებენ, მაშინ ყველაფერი განზე უნდა გადგეს და მთელი ჩვენი გრძნობა ნება და გონება საქართველოს გამარჯვე-

ბას, მისი თავისუფლებისა და დემოკრატიის განმტკიცებას უნდა მოხმარდეს.

ჩვენ ვიცით, რომ დღეს საქართველო გაერთიანებულია, ჩვენი ძალები აღარ არიან დაქსაქსულნი და ეს არის დიდი საწინდარი მართალი საქმის გამარჯვებისა. ამ შემთხვევაშიც, როგორც ყოველთვის, ჩვენც, ქართველი ისრაელებიც, ამოძრავებულნი ჩვენის ისტორიული ტრადიციებით, ვუერთდებით ქართველი ხალხისა და დემოკრატიის ბელადს ნ. ჟორდანიას და ვამბობთ: გაუმარჯოს დამოუკიდებელსა და თავისუფალ საქართველოს! გაუმარჯოს მის ძლევა-მოსილ ლაშქარს. (მხურვალე ტაში).

# თბილისის ქ-ლ. საბჭო

(დასასრული)

**ხმ. ლ. თუმანოვი** (სოც.-რ.). ცდილობს გაამართლოს სომხის მთავრობა, ამტკიცებს, რომ ქართველი ჯარისკაცები იქცეოდნენ უდიერად. მათ გამოიწვიეს აჯანყება, ამტყუნებს გეგეჭკორს და ამბობს, რომ ქართველებმა დაიწყეს სროლა არა 10-ს, არამედ 7 ქრისტეშ. დასასრულ ის ემხრობა იაკჯიანის აზრს და თხოულობს ჯარები იქმნას გამოყვანილი ყველა სადაო რაიონებიდან.

**ხმ. ლ. ნათაძე** (სოც.-დ.). დაწვრილებით ეხება მომხდარ ინციდენტებს და ბრალს სდებს სომხის ხალხის იმ ნაწილს, რომელიც ზინვორებს დაემორჩილა. როდესაც სომხის ხალხში გაბატონდა „ზინვორიზმი“, იმან დაჰკარგა კეთილ-გონიერება და მიეცა ავანტიურის გზას. ეს ზინვორიზმი დასაგმობია, რადგანაც ჰღუპავს სომხის ხალხს და ძირს უთხრის დემოკრატიის კეთილდღეობას. ის მოუწოდებს ხმოსნებს, რომ დაჰგმონ უპასუხისმგებლო პირთა ავანტიურიზმი და შეეცადონ გზა გაუკაფონ კონფერენციას.

**ხმ. პაპავა** (სოც.-ფ.). ამტკიცებს, რომ სომხის დემოკრატია მიდის უფსკრულისაკენ და მოუწოდებს, შეაჩეროს სისხლის ღვრა.

**ნ. რამიშვილი** (შინაგან საქმეთა მინისტრი). არღვევს იაკჯიანისა და თუმანოვის დებულებებს, იძლევა ფაქტიურ განმარტებებს და შეურყეველის საბუთებით ამტკიცებს, რომ სომხის ჯარი დაეცა ჩვენს რაზმებს და პირველმა დაიწყო სამხედრო მოქმედება. სრული პასუხის-მგებლობაც მათ ეკუთვნის იმ მოსალოდნელ შედეგებისათვის, რომელიც ბევრად უფრო საზარალო და მავნებელი იქნება სომხის ხალხისათვის.

**ხმ. რ. აუშტროვი** (სოც.-დემ.), რომელიც იყო ხმ. თუმანოვთან და დოლუხანოვთან ერთად იმ დელეგაციაში, რომელიც გაგზავნილი იყო სანაინში ხალხის დასამშვიდებლად, ამტკიცებს, რომ გეგეჭკორის ცნობები ყველა მართალი არის. ქართული რაზმები სდარაჯობდნენ მხოლოდ საზღვარს და მათ მოულოდნელად „პოვსტანცებმა“ აუტეხეს სროლა, ბევრი მოჰკლეს და დასჭრეს, მე ვამტკიცებ რომ არტილერიის სროლა ქართველ ჯარს არ დაუწყია 11 დეკემბრამდის. ჩვენ რომ ჩავედით, მართლა გენერალ წულუკიძეს გაეცა ბრძანება, რომ რვა დეკემბერს დაეწყოთ სროლა, მაგრამ ჩვენ პირადათ ვთხოვეთ გენერალ წულუკიძეს და ამ ბრძანების სისრულეში მოყვანა შეაჩერა (დელეგაციაში იყვნენ აგრეთვე სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენ. გედევანიშვილი, და შინაგან მინისტრის ამხ. მახარაძე).

შემდეგ როდესაც გამოირკვა, რომ დელეგაციამ ვერაფერი გააწყო და აჯანყებულები რკალივით შემოგვერტყენ და ჩვენც კინაღამ დაგვჭრეს, მხოლოდ 10 დეკ. გენ. წულუკიძემ დაიწყო სამხედრო მოქმედება.

აუშტროვი აღნიშნავს დიდის მწუხარებით, რომ ომი სწარმოებს სასტიკად და ულმობელად და სომხის ჯარისა და აჯანყებულების მოქმედება დიდს აღელვებას და გაცხარებას იწვევს ქართველ ჯარში, რამაც შეიძლება ცუდი შედეგები გამოიწვიოს.

**ხმ. პ. გოთუა** (ეროვ.-დემ.) აღნიშნავს, რომ ის რამოდენიმე წლის განმავლობაში, როგორც ამ ტრიბუნიდან ისე პრესაში, ამტკიცებდა, რომ სომხის ხალხს დაეპატრონა ერთი ჯგუფი, რომელიც გატაცებულია აგრესიული პოლიტიკით და აწარმოებს სასტიკ კაციჭამია პოლიტიკას ქართველების წინააღმდეგ. ისინი წინეთ ძველი რეჟიმის დროს გახვეული იყვნენ პლუტოკრატიის ქურქში და რევოლუციის შემდეგ კი თავისებური სოციალიზმის ნიღაბი გაიკეთეს. ჩვენ მუდამ ვიყავით მათთან კეთილ განწყობილნი, ჩვენ ვაძლევდით მათ თავშესაფარს, ვლებულობდით გულკეთილად. ჩამოვასახლეთ ჩვენ მიწა-წყალზე და ახლა გვედავებიან ჩვენს მამა-პაპეულ მიწა-წყალს. ახალქალაქის მაზრა არის ჩვენი კულტურის აკვანი, ის არის რუსთაველის სამშობლო. ჩვენთან შესისხლხორცებულია ორგანიულად და საქართველო მას ვერასგზით ვერ დასთმობს. ასე არის შეკავშირებული ბორჩალოს მაზრაც, რომლის საკითხი არის იგივ თბილისის საკითხიც, ბორჩალოს სახელით ჩვენ გვედავებიან თბილისს. აქ თითქოს ვერ მიხვდნენ რას ნიშნავს „За-карталинскія земли“, სომხის შოვინისტები ჩვენ გვედავებიან გორის მაზრის სამხრეთ ნაწილსაც და მაშინ როდესაც ჩვენი მთავრობა კონფერენციას აწყობს და სურს ყოველივე სადავო საკითხი მშვიდობიანად გაათავოს, უგზავნის დეპეშებს, რომ დელეგატები გამოგზავნონ, ისინი იქცევიან ვერაგულად, სიტყვიერად თანხმდებიან, მაგრამ დელეგატების მაგიერად აგზავნიან დარაზმულ პოლკებს, ეცემიან მუხანათურად ჩვენს მცირე რაზმებს, ხოცვენ და ჟლეტავენ მათ. ფაქტიურად უკვე დაიწყეს სამხედრო მოქმედება და ჩვენი ძმები—იქ სანაინის ხეობებში გულგანგმირული ჰყრიან, ვერაგულად დახოცილები. სამართლიანობა მოითხოვს და გთხოვთ ამ გმირების ხსოვნას ფეხზედ ადგომით პატივი ვსცეთ. (მთელი დარბაზი ფეხზე დგება). შემდეგ გოთუა განაგრძობს: სომხის შოვინისტებმა უფსკრულისკენ წაიყვანეს თავისი ხალხი, ისინი გრძნობენ, რომ ჩამოსახლებულებს არა აქვთ უფლება ტერიტორია მიისაკუთრონ. ეს პრინციპი რომ იყოს მიღებული, მაშინ ამერიკის ქალაქი ნიუიორკი პალესტინის რესპუბლიკას უნდა შეუერთონ, რადგანაც იქ ებრაელები უმრავლესობას შეადგენენ. სამართლიანის წესით სომხები ვერ მოიგებენ სადაოსაკითხებს და მათ მიმართეს იარაღს. რა ვუყოთ რომ პირველი გამარჯვება მათ ხვდათ და ჩვენი რაზმები, რომელნიც არ მოელოდნენ ომს, გასწყვიტეს, სანაინიდან სადახლოსკენ გადმოგვრეკეს, საქართველო არ შედრკება, იცოდეთ რომ ამ შემთხვევაში დიდი და პატარა—მთელი ქართველობა იმოქმედებს ერთსულოვნად და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაუჭერს მთავრობას მხარს, რომ ღირსეულად დაიცვა ჩვენი საზღვრები და ჩვენი დამოუკიდებლობა. სომხებს უნდა არეულობა, მათ ეხარბებათ, რომ საქართველომ წესიერება დაამყარა და გვიცხადებს ომს.

მე როგორც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელი ვაცხადებ, რომ ჩვენ მომხრე ვართ, რომ მშვიდობიანის წესით დამთავრდეს სადავო საკითხები, კონფერენციაზედ და არბიტრაჟით, მაგრამ თუ ეს დაგვიანებული არის, და ომი უნდა გაჩაღდეს, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ომი იქნება უსასტიკესი, რომელმაც უნდა ძირიან ფესვიანად ამოსწუროს ყველა სადავო საკითხები. (ტაში).

**პ. დოლუხანოვი** (სომხის ეროვნული პარტია), როგორც დელეგაციის წევრი ამტკიცებს, რომ ომი სწარმოებს დიდის სისასტიკით, მაგრამ ჯერ გამორკვეულად არ შეიძლება ჩაითვალოს, რა ნიადაგზედ მოხდა სომხის სოფლების აჯანყება. ის. როგორც საქართველოს მოქალაქე, მავნებლად სთვლის დაწყებულ შეტაკებას და ოცნებობს, რომ შესაძლებელია ყველაფერი მშვიდობიანის წესით დასრულდეს.

**ივ. ჩერქეზიშვილი** (გამოყოფილი სოც. რევ. პარ.) საყვედურს უჩნდება სომხის წარმომადგენელთ და ამტკიცებს, რომ ისინი არ იქცევიან გულწრფელად და პირდაპირ არ ამბობენ, რომ ჰგმობენ სომხის ხელმძღვანელების ასეთ საქციელს. (ტაში).

**ერ. ხანდანოვი** (კადეტი) უსაყვედურებს მთავრობას, რომ თუ სომხის დელეგატები არ მოვიდნენ თბილისში, იქით უნდა გაეგზავნათ ერევანში თავისი დელეგატები (სიცილია). ნოტებში ორივე მთავრობა ერთი მეორეს ბრალსა სდებს და ვინ მართალია ჩვენ არ ვიცით. საჭიროა ჯარები გამოიყვანოთ სადავო ადგილებიდან და შემდეგ შეთანხმდებით. კამათი გამოცხადდა დამთავრებულად.

**ივ. გეგეჭკორის** მცირე ფაქტიური განმარტების შესახებ ლომთათიძე აცხადებს რეზოლუციას, რომელიც შემოიტანა სოც.-დემ. პარტიამ, ამ რეზოლუციით საბჭო ჰგმობს რომ იქნეს ომით გადაწყვეტილი სადავო საკითხები და მოიწვევს ორივე მთავრობას რომ საკითხი იქნას გადაწყვეტილი კონფერენციაზედ. აგრეთვე საბჭო სთვლის აუცილებლად, რომ სომხის მთავრობამ ჯარები გაიყვანოს იმ ადგილებიდან, რომელიც 5 ქრისტეშობისთვეს შემდეგ დაიკავეს. ამ რეზოლუციის პირველი ნახევარი მიღებულ იქნა ერთხმად ხოლო მეორე ნახევრის შესახებ სოც.-რევ. და დაშნაკელებმა მოითხოვეს, რომ ეს მუხლი ამოშლილიყო იქნას.

კენჭის ყრის დროს გამოირკვა, რომ სოც.-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, ფედერალისტები და გამოყოფილი სოც.-რევოლ. იყვნენ მომხრე რომ ეს მუხლი დარჩენილიყო რეზოლუციაში. ხოლო დაშნაკელები, კადეტები, სომხის სახალხო პარტია, და სოციალდემოკრატიული პარტიის ერთი ნაწილი (რუსები და სომხები) იყვნენ ამ მუხლის წინააღმდეგ და ხმის უმეტესობით 39 ხმით—წინააღმდეგ 34 ხმისა თავისი გაიყვანეს და ეს მუხლი რეზოლუციიდან ამოშალეს.

შემდეგ ხუდადოვის წინადადებით მიიღეს, რომ ეს რეზოლუცია გაეგზავნოს ერევნის ქალაქის საბჭოს და აგრეთვე ელიავას წინადადებით, რომ ქალაქმა გამოსცეს ცალკე მოწოდება, რომლის საფუძვლადაც უნდა დაიდოს ეს მოწოდება.

კრება დაიხურა 12 საათზედ.

# საფრანგეთის ვიცე-კონსული გ. გიორგაძესთან

სამხედრო მინისტრი ბ-ნი გრ. გიორგაძე ინახულა საფრანგეთის ვიცე-კონსულმა, რომელსაც მინისტრმა დაწვრილებით აუხსნა ვერაგული თავდასხმა და ის გარემოებანი, რომ თავიანთი ულტიმატუმის პასუხსაც კი არ დაუცადესო. გარდა ამისა გადასცა, რომ ჩვენი მოკლული მხედართა გვამები სომხების მიერ ისეა დასახიჩრებულნი, რომ ვერც კი იცნობიანო. კონსულმა გულდასმით მოუსმინა მინისტრს და მწუხარება გამოსთქვა ასეთ ველურ საქციელზე.

# ქართული ლეგიონი

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ნებართვით ქართული ლეგიონი მოიწვევს მოხალისეებს.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბინაზე, სასახლის ქუჩა, ქართული თეატრის ეზოში, სადაც დროებით არის მოთავსებული ლეგიონის კანცელარია იქვე შეიძლება ყოველგვარ პირობების შეტყობა.

ლეგიონის სარდალი პოლკოვნიკი
ლეო კერესელიძე.

## ჩვენი ჯარების წინსვლა

უკანასკნელი ცნობებით, ჩვენმა მამაცმა რაზმებმა ალავერდის იქით სომხებით დასახლებული ორი სოფელი დაიკავა.

სახალხო გვარდიის მოწინავე რაზმა გამარჯვებით გზა გაიკაფა და სოფ. ვორონცოვკას მიაღწია.

ახალქალაქის მხრით წინ იწევენ ღენ. მაყაშვილის ჯარის ნაწილებიც.

## სახელმწიფო უნივერსიტეტი

სახელმწიფო უნივერსიტეტში გუშინწინ გაიმართა სტუდენტების საერთო კრება, რომელზედაც სტუდენტობამ განურჩევლად პარტიულ მიმართულებისა ერთხმად დაადგინა, რომ ყველა მათგანი წავიდეს ბრძოლის ველზე ცბიერ მტრის მოულოდნელ მოქმედების ასალაგმავად.

## გაზეთების დახურვა

თბილისის გენერალ-გუბერნატორის მაზნიაშვილის განკარგულებით დაიკეტა გაზეთი „კავკაზსკოე სლოვო“, გაზეთის იმ წერილის გამო, რომელიც საქართველო-სომხეთის ომის გამოცხადების გამო დაიბეჭდა.

ამავე მიზეზით თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიკეტა რუს-ესერების გაზეთი „ზნამია ტრუდა“.

დაიკეტა აგრეთვე სომხური გაზ. „აშხატავორი“.

## პარტიული ცხოვრება

სამშაბათს, საღამოს 5 საათზე, შესდგა ეროვ.-დემოკრატ. ახალგაზრდების სასწრაფო მრავალ-რიცხოვანი კრება, რომელმაც იმსჯელა საქართველოს დღევანდელ საომარ მდგომარეობის გამო და ერთხმად დაადგინა: „რადგანაც დღეს სამშობლო ძალას მოითხოვს და ჩვენ კი პარტიულ-ჯგუფური რაზმები შეუფერებლად მიგვაჩნია, არ დაუცდით მთავრობის ოფიციალურ მოწოდებას და ხვალიდანვე უნდა ჩავეწეროთ ჯარის სხვა და სხვა ნაწილებში.

— მოწაფეთა კომიტეტი აცხადებს რომ დღეს, ქრისტეშობისთვის 19-ს საღამოს 5 საათზე, ბიუროში დანიშნულია ყველა სასწავლებლების წარმომადგენელთა კრება.

— ცნობები მოგვდის, რომ ჩვენი ახალგაზდობა მრავლად ეწერება ჯარებში და გვარდიაშიც.

## ქუთაისში

საქართველოს საზღვრებზედ სომხების ჯარის თავდასხმამ დიდი პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვია. ქუჩებში იმართება მიტინგები და ორატორები მოუწოდებენ ხალხს საომრათ გასვლას.

სამშაბათს აუარებელი ხალხი ეროვნული დროშებით შეგროვდა სასტუმრო „ფრანციასთან“, სადაც გაჩერებული იყო ქუთაისში ჩამოსული განათლების მინისტრი გ. ლასხიშვილი. სასტუმროს აივანიდან ხალხს სიტყვებით მიმართეს გრ. ლალიამ, პავლე იაშვილმა და სხვებმა. ხალხი ყვიროდა: გაგვიძღეხით და ყველანი წამოვალთო.

აღელვებულმა ხალხა ხელში აიტაცა მინისტრი და ეროვნული დროშებით და სამხედრო სიმღერებით სადგურამდის გააცილა.

მინისტრთან ერთად თბილისში წამოვიდნენ პარლამენტის წევრნი სპირიდონ კედია, იოსებ მაჭავარიანი და რ. არსენიძე.

კვირას 15 ქრისტეშობისთვეს რეალურ სასწავლებლის დარბაზში გაიმართა ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის მრავალ რიცხოვანი საჯარო კრება. თანამედროვე მომენტზედ სომხების თავდასხმასა და საორგანიზაციო საკითხების შესახებ მოხსენებანი წაიკითხეს თბილისიდან ჩამოსულებმა სპირიდონ კედიამ, იოსებ მაჭავარიანმა და ლელი ჯაფარიძემ. კრებამ ერთსულოვანად აღშფოთებული იყო სომხების ვერაგული მოქმედებით და ითხოვდა მთავრობის მიერ მტკიცე ნაბიჯების გადადგმას, საქართველოს თავისუფლების დასაცავად.

## „კაფე-სოკოლნიკის“ დახურვა

მთავრობის განკარგულებით დაიკეტა „კაფე-სოკოლნიკი“ (ერევნის მოედანზე) რომელიც იყო ბუდე დაშნაკელებისა. მიზეზი დაკეტვისა იყო ის, რომ აქ ქართველ ოფიცრებმა მოითხოვეს ქართული ჰიმნის შესრულება და კაფეს პატრონმა ამის ნება არ მისცა. კაფეს პატრონი დააპატიმრეს.

## სომეხ მილიციონერთა დათხოვნა

გუშინ თბილისში ყველა სომეხ მილიციონერებს იარაღი ჩამოართვეს და სამსახურიდან გადააყენეს.

## საკათალიკოსო საბჭოს კრება

ომის გამოცხადების გამო დღეს საღამოს 5 საათზე საკათალიკოსო საბჭოს საგანგებო სხდომაა დანიშნული.

## პროვ ნცია.

**დუშეთის მაზრა.** ხალხი აღფრთოვანებულია. მრავალი, რომელსაც მობილიზაცია არ უსწრებს, თავის ნებით ეწერება საქართველოს ლაშქარში და გვარდიაში. ხალხის აღტაცებას არავითარი უწესოება არ არღვევს.

**გარედ-კახეთი.** სოფ. ხაშმის გვარდიის შტაბში მეზობელ სოფლებიდან მრავალი ეწერება. რადგანაც მსურველთა მისაღები თხოვნა ბევრი შემოდის, ამისთვის არსდება კომისია, რომელიც განიხილავს მსურველთა თხოვნებს.

# მთავრობის წრეებში

სამხედრო მინისტრის მოხსენების შემდეგ, თანახმად ფინანსთა მინისტრის დასკვნისა, მთავრობამ დაადგინა მიეცეს სახალხო გვარდიას ორი თვის განმავლობაში სამხედრო სამინისტროს კრედიტიდან 3.000.000 მან. რომელიც სამინისტროს სახალხო გვარდიის თანხიდან დაუბრუნდება.

—

მთავრობამ ზოგიერთი ცვლილებით მიიღო მთავრობის იურისკონსულტის პროექტი დებულებისა აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნების შესახებ. პროექტი ამ დღეებში დასამტკიცებლათ წარუდგნეს პარლამენტს.

# ქრონიკა

✦ **დღეს, საღამოს 7 საათზე, შესდგება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის კრება. განსახილველია ფრიად საგულისხმო საკითხები. დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.**

✦ **ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე.** ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე დანიშნულია გასარჩევად 21 ქრისტეშობისთვეს საგანგებო სასამართლოში.

✦ **ბათუმში შესვლა.** როგორც სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ, ბათუმში შესვლა ხელადართულია. რადგანაც ამ მოკლე ხანში ბათუმში ქალაქის არჩევნები მოხდება, საჭიროა რაც შეიძლება მეტი ქართველობა დაბრუნდეს.

✦ **გერმანიის დელეგაცია და „პალას-ოტელი“.** გერმანიის დელეგაციამ ნოტით მიმართა საქარ. რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს: „ზოგი ადგილობრივი გაზეთები ხმებსავრცელებენ, ვითომც სასტუმრო „პალას-ოტელის“ დაწვას ხელი შეუწყო გერმანელების მიერ იქ შენახულმა ბენზინმა, ნავთმა და სხ. ამფეთქებელ მასალებმა. გერმანელების დელეგაცია ამით აცხადებს, რომ იქ გარდა მცირე მაზუთისა, არავითარი სათბობი და ასაფეთქებელი მასალა არ ინახებოდა.

✦ **გერმანიის კომენდანტურა.** გერმანელების საკომენდანტო, რომელიც „პალას ოტელში“ იყო მოთავსებული, საპიორთა ყაზარმაში გადავიდა.

✦ **სახალხო სკოლების ინსპექტორის შუამდგომლობა.** სახალხო სკოლების ინსპექტორმა თხოვნით მიმართა სახალხო განათლების მინისტრს მასწავლებლები ჯამაგირებით დააკმაყოფილონ. ს. გ. მინისტრმა შუამდგომლობა ფინანსთა მინისტრს გადასცა.

✦ **დატუსაღება.** თბილისის ქალაქის მილიციის უფროსის განკარგულებით 3 თვით დააპატიმრეს მაგარი სასმელების ფარულად ვაჭრობისათვის ტ. ისაევი, გ. მესტვირიშვილი და მ. ოჰანეზოვი.

**მოპარული საქონელი.** 17 ქრისტეშობისთვეს ღამის 11 საათზე 7 საკომისაროს უბანში, მილიციონერებმა შეიპყრეს ტაჩკა ს. გიორგი ჯანოვისა. „ტაჩკაში“ აღმოაჩინეს 3 ტომარა ყავა, 4 ტომარა შაქარი. ეს საქონელი წინა ღამეს მოუპარავთ ქალაქის სავაჭრო სახლიდან (№ 3).

✦ **შემოწირულება სახალხო გვარდიის ფონდის გასაძლიერებლად.** სახალხო გვარდიის შტაბმა მიიღო მეორე ქართული კლუბის საბჭოს თავმჯდომარის დ. შ. დუმბაძისაგან 696 მან. აღნიშნულ კლუბის მიერ შემოწირული.

**კრედიტი გვარდიისთვის.** სამხედრო მინისტრის მოხსენების შემდეგ, თანახმად ფინანსთა მინისტრის დასკვნისა მთავრობამ დაადგინა: მიეცეს სახალხო გვარდიას ორი თვის განმავლობაში სამხედრო სამინისტროს კრედიტებიდან 3.000.000 მანეთი. ეს ფული დაუბრუნდება შემდეგ სამინისტროს სახალხო გვარდიის თანხებიდან. პარლამენტის მიერ ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შემდეგ.

✦ **სამოქალაქო დღესასწაული.** შრომის მინისტრის მოხსენების თანახმად სამოქალაქო დღესასწაულად მთავრობამ დაამტკიცა 1 და 26 მაისი.

✦ **მთავრობის მდივნის დანიშვნა.** საქართველოს რესპუბ. მთავრობის მდივნად მიწვეულ იქმნა გალაქტიონ ტაბიძე, რომელიც უკვე შეუდგა მოვალეობათა აღსრულებას.

✦ **თბილისის და ქუთაისის სახაზინო პალატების** გაუქმების გამო იმ ცნობების მისაღებად, რომლებსაც იგინი ადრე იძლეოდნენ, ეხლა მთხოვნელებმა უნდა მიმართონ, პირად ან ფოსტის საშუალებით, თბილისში ხსენებულ პალატების მაგიერ დაარსებულ გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამმართველოს, ხოლო დანარჩენი ცნობების მისაღებად მათ, უნდა მიმართონ ადგილობრივ ხაზინებს და გადასახადთა ინსპექტორებს.

# ძეგვის ხიდის საქმე

შაბათს, 21 ქრისტეშობისთვეს, თბილისის საგანგებო სასამართლოში დანიშნულია ძეგვის ხიდის აფეთქების საქმის განხილვა. ამ საქმეში ბრალდებულნი არიან სამხედრო ინჟ. პოლკოვ. გ. დ. შმაგაილოვი, მიხეილი, (იგივე სარქისა), სტ. კუჩმიანცი და ა. ა. კიურიუნლიანცი. საბრალმდებლო ოქმით გამოწვეულია 17 მოწმე, ხოლო ბრალდებულთა მხრით 10 მოწმე. თუ ბრალდებულნი დამნაშავენი აღმოჩნდნენ, მათ სიკვდილით დასჯიან. ბრალდებულთა დამცველებად გამოდიან ნაფიცი ვექილები კ. ზელენსკი და ა. პაპოვიანი. საქმის გარჩევა ორ დღეს გასტანს. მსურველთ მხოლოდ ბილეთებით შეუძლიანთ დასწრება.

# უცხოეთის ამბები
## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ბოლშევიკების ჯარი ასტრახანში.**

ასტრახანიდან მოსულ ცნობებით იქ თავი მოიყარა „ლენინის“ პოლკებმა. ჯარი შესდგება 40.000 კარგად შეიარაღებული კაცისაგან. აქვე არის დაბანაკებული ცხენოსანი ჯარები აგრეთვე კარგად მოწყობილი და შეიარაღებული.

ასტრახნის მუშების პროფესიონალურმა კავშირებმა ბოლშევიკების განკარგულებაში თავის რიცხვის 15 პროცენტი გადასცეს ჯარში გასაწვევად. თავის მხრით ბოლშევიკებმა პროფესიონალურ კავშირებს სურსათისათვის 40 მილიონი მანეთი გადასცეს. თავის ძალებს ბოლშევიკები უმთავრესად ბაქოს წინააღმდეგ აგროვებენ.

**დარდი გერმანეთისთვის.**

მოსკოვის საბჭოთა გაზეთი „ბედნოტა“ მეტის მეტ ნაღველს მოუცავს იმის გამო, რომ გერმანეთის საბჭოთა ხელმწიფება „ცუდ ხელშია“.

„დიდებული საქმე გერმანიაში, სწერს გაზეთი,—დასოულებულია; ხელმწიფება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ხელში გადავიდა. მაგრამ თვით საბჭოები უვარგისობენ და მათი სვეც ცუდ ხელშია. მათი ბელადები—ან მოღალატენი არიან მუშათა საქმისთვის, ან ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად ძალა არ შესწევთ.

**ყარაბახის ამბები.**

აძერბეიჯანის მთავრობამ განჯიდან შემდეგი დეპეშა მიიღო:

იმის შემდეგ, რაც ინგლის-საფრანგეთის დელეგაციამ ანდრანიკს წინადადება მისცა შეეწყვიტა საომარი მოქმედება მაჰმადიანთა წინააღმდეგ, მაჰმადიანები დაეხსნენ დიდი სახელმწიფოების დელეგაციას და ჯარმა თავისი პოზიციები დატოვა, საიდანაც სომხებს იგერიებდნენ და სახლებში გაიფანტა. ამით ისარგებლა ანდრანიკამ და უბრძანა თავის ჯარს, რომელიც შესდგება ოსმალეთისა და ადგილობრივი სომხებისაგან, შემუსრონ მაჰმადიანთა სოფლები. ბრძანებისთანავე მთელი სომხობა იარაღით ფეხზე დადგა, დაეცნენ მაჰმადიანთა სოფლებს და მხეცურად ჟლეტდნენ ხალხს განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა, აწვალებდნენ გვამებს, ღიდებს სჭრიან ყურებს და პირში უდებენ ბავშვებს, ორი ქალი მთლად გაატიტვლეს და ისე გაუშვეს სასაცილოს გულისათვის. 12 სოფელზე მეტი მთლად გადასწვეს. 10 ქალი სომხებმა ტყვედ წაიყვანეს. გთხოვთ განკარგულება მოახდინოთ და ჯარი გამოგზავნოთ. ხანკენდის ჯარის უფროსი მელიქ-ნაზარბეგოვი.

# ეკლესიის საბჭოში

კვირას საკათალიკოსო სასახლის სხდომის დარბაზში შესდგა საკათალიკოსო საბჭოს, სასამართლოსი და სამოქალაქო საქმეთა წარმომადგენელების შეერთებული სხდომა.

ამ საგანგებო სხდომას უნდა განეხილა კათოლიკოზის არჩევის საკითხი. კრებაზე გამოირკვა ორი მიმართულება: ერთი უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ კათოლიკოზის ხელახალი არჩევა საჭირო არ არის, ვინაიდგან წარსულ საეკლესიო კრებამ ორივე კანდიდატი (ეპ. კირიონი და ეპ. ლეონიდე) ღირსად სცნო საკათოლიკოსოდ, ხოლო აწ განსვენებული კირიონი ამორჩეულ იქმნა ამ ხარისხზე 12 ხმის უმეტესობით. პოლიტიკური მდგომარეობა შეუძლებლად ჰყოფს რეფერენდუმსაც და საეკლესიო კრებასაც, მაგრამ, რადგანაც ეკლესიის უთავოდ დატოვება ბევრის მხრივ უხერხულია, კათოლიკოზი უნდა არჩეულ იქნეს უფრო მარტივი წესით; ამ შემთხვევაში კი საჭიროა შეერთებულ სხდომაზე დადასტურდეს საეკლესიო კრების არჩევნების შედეგი და თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდი გამოცხადდეს კათოლიკოზად.

მეორე მიმართულება უთითებდა იმ გარემოებაზე, რომ შარშანდელ საეკლესიო კრების დანიშნულება დამთავრდა ეპ. კირიონის არჩევით, ხოლო კანდიდატის საკითხი კრებისთვის დავალებული არ ყოფილა. საეკლესიო კრების მოწვევაც არც ისე რთულია, რომ ისეთი უდიდესი საკითხის გადასაწყვეტად, როგორც არის სრულიად საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელის არჩევა, დავკმაყოფილდეთ საბჭოთა უბრალო დადგენილებით.

საკითხის საბოლოო გადაწყვეტა გადაიდო მომავალ კვირისთვის, როცა ყველა საბჭოს წარმომადგენლები გამოცხადდებიან.

შეერთებულ სხდომას თავმჯდომარეობს ჰქონდიდელი ამბროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეროზა

ტფილისში დაბრუნდა მთავარი ინსტრუქტორი საქართველოში ერობის შემოღებისათვის ბ. ტიტე მარგველაშვილი, რომელსაც შემოუვლია ზუგდიდის, ლეჩხუმის და დასავლეთ საქართველოს საარჩევნო ადგილები.

— ზუგდიდის მაზრაში არჩევნები დამთავრებულა.

— რაჭაშიც არჩევნები დამთავრებულა.

— ლეჩხუმის მაზრაში არჩევნები 15 დეკემბერს მოხდა.

— მთავარი საერობო ინსტრუქტორი ბ. ტიტე მარგველაშვილი წარუდგა შინაგან საქმეთა მინისტრს და არჩევნების შედეგი მოახსენა. მინისტრმა დაავალა მას, რომ ვრცელი მოხსენება წარუდგინოს დანარჩენ მაზრებში ერობის შემოღების შესახებ. ბ. მარგველაშვილი ამ დღეებში წარუდგენს მოხსენებას.

— განსაკუთრებულ მიზნით ბ. მარგველაშვილმა საგანგებო შიკრიკით გამოითხოვა ზუგდიდიდან მთელი მასალა ერობის არჩევნების შესახებ ზუგდიდის მაზრაში.

— თიანეთის მაზრაში მიღებულია ენერგიული ზომები არჩევნების დროზე მოხდენის შესახებ და საქმის სახელმძღვანელოთ ამ დღეებში მიემგზავრება თვით ბ-ნი მარგველაშვილი.

# იაკობ რეინგესი

(შემდეგი. იხ. „საქ." № 241)

მეფე ერეკლემ რეინგესი სამეფო სასახლის ექიმად დანიშნა და საცხოვრებლად ბინაც თავის სასახლეში მისცა.

რეინგესისათვის ცხად იქმნა ქართველი ერის გულკეთილობა, მეამიტობა, გულის სიწმინდე, უმწიკვლოდ ქრისტიანობის წამება.

ქართველი ერის ეს კეთილი მოქმედება და ღირსება იყო, რომ რეინგესმა გულში დაისახა ქართველი ერის ქომაგობა.

დოქტორი რეინგესი, დღე და ღამ, მუდამ მეფეს ახლდა. სოლომონ ლეონიძის სიტყვით, რეინგესი მეფე ერეკლესთან რჩებოდა ხან ათი საათი, ხან თორმეტი საათიც. ლაპარაკი ჰქონდათ ხან ქართულად, ხან სპარსულად. საგანი ლაპარაკისა იყო საქართველოს საქმეები და მის აღორძინების ფიქრი. დოქტორი რეინგესი დაწვრილებით მოუთხრობდა მეფე ერეკლეს ევროპის ერთა და სახელმწიფოთა დაწინაურებას. მან მეფე ერეკლეს მალე შეაყვარა თავი ისე, რომ მეფე უზიარებდა საიდუმლო ამბებსაც.

მეფემ რეინგესს თბილისის ქალაქის ზედამხედველობა მიანდო და თვალყურის ჭერა თბილისის სამართველოებზე. ამიერიდან რეინგესს მიენიჭა ისეთი უფლება, რომ თავისუფლად შეეძლო შესულიყო თბილისის მოურავის (გუბერნატორი) სამართველოებში და ყველა საქმეები გაესინჯა, ასევე შეეძლო მას გაესინჯა ქალაქის მელიქის სამართველოები და აქაც ესინჯა ქალაქის მართვა-გამგეობის საქმენი. ასეთმა მინდობილებამ რეინგესი დიდად აღაფრთოვანა.

რეინგესმა გერმანულიდან ქართულად სთარგმნა საქალაქო წესების მართვა-გამგეობისათვის „პოლიციური წესები" ზონენფელდისა. ამ წიგნის თარგმანში მონაწილეობას იღებდა თვით მეფე ერეკლეც. ეს წიგნი რეინგეს სპარსულს ენაზედაც უთარგმნია იქ ყოფნის დროს. ამ წიგნის თარგმნის მიზეზი ის იყო თურმე, რომ მეფე ერეკლეს ამ წიგნის წესდებით ჰსურვებია თბილისის მართვა-გამგეობის მოწყობა.

მანვე მეფის სასახლეში აირჩია დარბაზი და გახსნა „საბატონიშვილო სკოლა", სადაც შეკრებილ იქმნენ მხოლოდ ბატონიშვილები. ამ სკოლის მასწავლებლად იყვნენ თბილელი პატრები და თვით რეინგესიც. ამ სასწავლებელში პირველად იქმნა შემოღებული ფრანგული, გერმანული და ლათინური ენის სწავლება. გერმანულს ასწავლიდა თვით რეინგესი და ფრანგულს, იტალიურს და ლათინურს ფრანგის პატრები.

სწავლის დაწყების დროს რეინგესმა დიდად მოიწონა ალექსანდრე ბატონიშვილი. რეინგესმა იგი თავის ადიუტანტად აირჩია, რაზედაც მეფემ ნება დართო. რეინგესისათვის ადიუტანტი, ანუ ხელქვეითი და ქართულად მოლაპარაკე, ქალაქის მართვა-გამგეობის დროს დიდად საჭირო იყო. ამიტომაც აირჩია მან უფრო ცოცხალი და მარდი ბატონიშვილი ალექსანდრე, ამას შეუკერა თავის ფორმების ტანთსაცმელი და როცა რეინგესი თბილისის [illegible]

ალექსანდრე ბატონიშვილი ამ რეინგესის გავლენის ქვეშ იზრდებოდა. სამწუხაროდ, რეინგესმა როგორც ალექსანდრე ბატონიშვილი გაწრთვნა, ისე სხვა ბატონიშვილებს ვერა სწრთვნიდა უდროობით. ამ დროს რეინგესმა კარგად შენიშნა, რომ თბილისში ქართველი ერი ექიმობის მხრით ძრიელ დაქვეითებული იყო და თბილისში, რომელშიაც ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი ასი ათასზე მეტი იყო, სულ იყო 6 ექიმი. ამიტომ რეინგესმა მეფე ერეკლეს ურჩია თბილისში საექიმო სკოლის გახსნა და ესეც მალე მოაწყო. ამ სკოლაში უმთავრესი მასწავლებელი რეინგესი იყო და მასთან იმ დროის თბილისის ქართველ კათოლიკეთა პატრები. მათ იმეცადინეს და მთელი საექიმო სკოლა მრავალ კათოლიკეთა შვილებით გაავსეს. ამიტომ ამ სკოლის საშუალებით ქართველ კათოლიკებში მოიფინა ექიმობის ცოდნა მაგ. თბილისის ქართველ კათოლიკეთა ექიმები: ანტონ და თათულა ყარაშვილები ამ სკოლიდან არიან, ბოლოს ისინი იყვნენ მეფე გიორგის კარის ექიმები. ამ სკოლის საშუალებით ქალებიც კი სწავლობდენ ექიმობას, მაგ. ქართველ კათოლიკეთ ქალი ანნა ისარლოვისა, რომელიც ბოლოს დროს იმერეთში სცხოვრებდა და იქ სოლომონ იმერთა მეფის ექიმად იყო დანიშნული. რეინგესმა ქართველებს ამ სკოლის გახსნით დიდი სიკეთე მოუტანა.

რეინგესის დახმარებით გაფართოვებულ იქმნა მორიგი ჯარის რიცხვი. ეს მორიგი ჯარი, საქართველოში პირველათ შემოიღო და დაარსა მეფე ერეკლეს შვილმა ლევანმა, რომელიც მერე მოწამლეს.

გაფართოვებულ იქმნა მორიგ ჯარისკაცთათვის სადგომი ბინა. მორიგ ჯარს დაენიშნათ ვადა სამსახურისა და მასთან გერმანულად ულუფა, ჯამაგირი და დახმარება.

რეინგესისავე რჩევით მეფე ერეკლეს ბრძანებით და სამეფოს ხარჯით გახსნილ იქმნა არტილერიის სასწავლებელი სადაც მასწავლებლებათ იქმნენ დანიშნულნი სულ ქართველი სამხედრო პირები, რომელთაც სამხედრო სწავლა ევროპაში ჰქონდათ მიღებული.

განზრახულ იქმნა თოფის წამლის უკეთესათ ოსტატობა, რაც რეინგესმა ასწავლა ამის ხელოსნებს.

გახსნილ იქმნა თოფის წამლის საფქავი წისქვილი, სადაც თოფის წამალს უკეთესათ ფქვამდენ.

მეფე ერეკლეს ბრძანებით შეკრებილი იქმნა თბილისში ოქროსი და ვერცხლის ჩამომსხმელი ხელოსანთა რიცხვი, რომელთაც ოდესმე ახტალის ქარხანაში ემუშავნათ. რეინგესმა ამ ხელოსნებს ასწავლა ოქროსი და ვერცხლის უკეთ გასუფთავება და დაწმენდა.

მეფე ერეკლემ რეინგესისავე რჩევით ჩამოასხმევინა თბილისში ოქროს ფული. ოქროს გამოხდაც გაამრავლეს.

გაფართოვდა თბილისის ზარაფხანაც. (ანჩხატი ეკლესიის ცოტა ქვემოდ იყო აწინდელის სიბრალურის სამმართველოს უკან, მტკვრის ნაპირას, ამ ზარაფხანის შენობის ნაწილმა ჩვენს დრომდისაც მოაღწია, იგი დღესაც მთელია). რუსეთის შემოსვლის შემდეგაც ამ ზარაფხანაში იჭრებოდა ქართული ფული. აქ ქართული ფულის მოჭრა მოისპო 1833 წ. ამის შემდგომ ამ ზარაფხანაში ასხავდენ წმინდა სანთელს, დღეს ესეც გაუქმდა, ეხლა ეს ძველი ზარაფხანის სახლი ცარიელია და მოლაც კი სდგას.

რეინგესმა ქართველებს შენიშნა სხვაც ბევრი რამ ნაკლი. უფრო სავაჭრო და სახელოსნო, ამიტომ მან მიწერ-მოწერა გამართა ავსტრიაში, პოლონეთში, გერმანიაში, იქაურ ხელოსნებს ურჩევდა საქართველოში ჩამოსახლებას და თავიანთ სახელოსნო და სავაჭროების დახსნას და გავრცელებას. ამისათვის მეფე ერეკლეც დახმარების აღმოჩენას დაპირდა.

მართლაც და რეინგესის რჩევით თბილისში მოვიდნენ უკვე ავსრტიელ, გერმანელ, და პოლონელი ხელოსნები, რომელთაც საქართველოში ბევრი რამ შემოიტანეს. მაგალითად ჩამოვიდა გერმანელი მესაათე, გოტფლიდი. ეს მესაათე მეფემ პატივის ცემით მიიღო; დანიშნა თავის სასახლის და სახელმწიფო მესაათეთ. ამავე მესაათემ თბილისში, ავლაბრის მეორე ხიდის გვერდით გახსნა საათის მაღაზია და ქარხანა, სადაც გოტფლიდი ასწავლიდა საათის კეთებას და მის აღებ-მი[illegible]

ერეკლესგან წელიწადში 300 მანეთი ულუფა. ქართველ ბატონიშვილების რუსეთში გადასახლების შემდეგ გოტფლიდიც ევროპაში გადასახლდა.

მეორე ხელოსან გერმანელს სცოდნია კართოფილის თესვა, პამიდორის, ანუ ოქრო-ვაშლის, წითელი ბოლოკის თესვა-მოყვანაც რაც ქართველებმა არ იცოდნენ.

ყოფილა ვინმე პოლონელი ფერშალი, რომელსაც თბილისში პირველათ აფთიაქი გაუხსნია, ნელ-ნელა თბილისი ევროპიულ ქალაქს ემსგავსებოდა და მასში ბევრი რამ ჩნდებოდა ევროპიულიც, რაც ყველას აძლევდა იმის საბუთს, რომ ყველა ამ საქმეების მეთაური და დამწყობი იყო გერმანელი ექიმი რეინგესი. ბევრს ეს გარემოება ახარებდა, ვინც კი ერთგული იყო საქართველოს აღორძინების და იყვნენ ისეთი ქართველნიც, რუსთაგან შესყიდულნი, რომელთაც რეინგესის მეცადინეობა აბრაზებდა და მტრობით ამათ აღარ იცოდნენ თუ რა ექმნათ.

მათ ასტრახანში მყოფ პატიომკინს მისწერეს ყალბი ცნობები რეინგესზე.

ზ. ჭ.

(დასასრული იქნება).

# საგანგებო რაზმის მოქმედება

საქმე—ორთაჭალის ციხეში № 1, აღმოჩენილ საგანგებო რაზმის მიერ ხვრელის გაყვანის შესახებ, (სიგრძით 4 ადლი, თვით ციხის შენობაში) უკვე დამთავრდა. მთელი მასალა და საქმე დამნაშავეთა დასახელებით საგანგებო რაზმმა უკვე გადასცა საგანგებო საქმეთა გამომძიებელ ბ. ჯომარჯიძეს. დამნაშავე და პატიმრები გადაყვანილ არიან კარცერში. მიზანი, როგორც გამოირკვა, პატიმართა გაქცევა ყოფილა, მხოლოდ საგანგებო რაზმს დროზე გაუგია ეს ამბავი და შესაფერი ზომები მიუღია.

—

საგანგებო რაზმმა შეიპყრო თერგის ოლქის ბალშევიკთა საბჭოს წევრი ალექსანდრე ზუბკო, რომელიც გაიგზავნა ციხეში.

—

საგანგებო რაზმმა მუხრანის ქუჩაზე მიხეილ პავლ. აბულაძის სარდაფში აღმოაჩინა გადამალული შვეიცარული ყველი 115 ფუთი.

—

საგანგებო რაზმმა საბურთალოში იოსებ ეძგვერაძის ბინაზე აღმოაჩინა მრავალი გადამალული სახაზინო საქონელი, რომელიც ეკუთვნოდა მეორე ცხენოსან ასეულს ღირებულებით 40 ათასი მანეთისა. თვით დამნაშავე მიქელაძე, რომელსაც ეს საქონელი მიუთვისებია, დაიმალა.

—

საგანგებო რაზმმა შეიპყრო სერაფიონ ლომიძე, რომელიც „რაბოჩი პრავდა"-ში ათავსებდა ბალშევიკურ წერილებს და ამ გაზეთს ავრცელებდა. იგი № 2 ციხეში გაიგზავნა.

—

საგანგებო რაზმმა შეიპყრო ბალშევიკი სევასტი თალაკვაძე, რომელიც მთავრობის წინააღმდეგ დიდ-პროპაგანდას ეწეოდა.

—

საგანგებო რაზმმა შეიპყრო ბოლშევიკი დავით პეშტმალჯიანცი, რომელიც მთავრობის წინააღმდეგ პროპაგანდას ეწეოდა.

—

საგანგებო რაზმმა ნიკოლოზის და პირადოვის ქუჩაზე გრ. სალიტანის სახლში აღმოაჩინა მრავალი გადამალული სააფთიაქო მედიკამენტი, რომელიც ჩამორთმეულ იქნა.

—

საგანგებო რაზმმა ელისაბედის ქუჩაზე ნაფიც ვექილ ვ. სევანოვის ბინაზე აღმოაჩინა 700 ცალი სახელმწიფო შინელები, რომელიც ჩამორთმეულ იქნა.

—

საგანგებო რაზმმა ამავე შენობაში აღმოაჩინა საეჭვო ასაფეთქებელ ნივთიერებით სავსე ბოჭკა, რომელიც გაიგზავნა საინჟინერო სატეხნიკო სექციის უფროსთან გამოსაკვლევათ.

—

საგანგებო რაზმმა ავლაბარში სირაჯხანის აღმართზე ბურდულიანის ბინაზე აღმოაჩინა (?) ცალი სახაზინო შინელი.

# საადგილ-მამულო რეფორმა

საადგილ-მამულო კომისიამ დუშეთის მაზრაში ჩაიბარა: სოფ. ჟინვალში 1) ზანდუკელისაგან 1895 დ. 1880 ოთხკ. ს. სოფ. საშაბუროში: 2) დავით ნიკოლოზის ძე შაბურაშვილისაგან 284 დეს. და 1900 ოთხკ. ს. 3) დავით კეზელისაგან 37 დ. 190 ოთხკ. საჟ. 4) გიორგი ივანეს ძე კობიაშვილისაგან 6 დეს. 2160 ოთხკ. ს. 5) ნინა ზურაბის ასულ ფავლენიშვილის მემკვიდრეებისაგან 299 დეს. 1570 ოთხკ. საჟ. 6) ნათიაშვილებისაგან 197 დ, 140 ოთხკ. საჟ. 7) ნინა რაჟდენის ასულ ვასილიაშვილისაგან და ქ. შაბურაშვილისაგან 76 დეს. 1108 ოთხკ. საჟ. 8) ყარანგოზაშვილისაგან 37 დეს. 136 ოთხკ. საჟ. 9) პ. იოსელიანისაგან 24 დეს. 10) გიორგი და გრიგოლ გაბაშვილებისაგან 32 დ, 1830 ოთხკ. ს. 11) ალ., ელ. და ზურაბ კობიაშვილებისაგან.

სოფ. კობიათ-კარში: 1) შევჩენკო და ფილიმონოვებისაგან 31 დ. 890 ოთხკ. ს. 2) ალ., ვლ. და ზურაბ კობაშვილებისაგან 6 დეს. 2200 ოთხკ. საჟ. 3) პ. იოსელიანისაგან 27 დ. 1460 ოთხკ. ს. 4) თ. ზ. გაბაშვილებისაგან 1 დეს. 1200 ოთხკ. ს. 5) ვასილ დავითის ძე და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კობიაშვილებისაგან 44 დ. 1400 ოთხკ. ს. 6) გიორგი ივანეს ძე კობააშვილისაგან 86 დეს. 2370 ოთხკ. ს.

სოფ. წინ-დუშეთში: 1) ივანე გრიგოლის ძე ბაზარულისაგან 28 დ. 2085 ოთხკ. საჟ. 2) გიორგი ივანეს ძე კობიაშვილისაგან 26 დეს. 360 კ.

სულ ზომით სამიათას ას სამოცდა ცხრა დესეტინა და ოთხას ოცდაცამეტი ოთკუთხი საჟენი (3,169 დ. 433 ო. ს.).

# „საქართველოს" რედაქციის ფონდი

გიორგი გვაზავამ „საქართველოს" რედაქციის ფონდს შემოსწირა ათასი (1000) მანეთი.

**გოლა ახრახაძემ** ათასი (1000) მანეთი.

**29 მარიამობისთვეს (ახ. სტ.)**

ბელორეჩინსკის 9 ვერსით მოშორებულ ფშეხოვსკაიას მახლობლად (ტუაპსე-არმავირის რაიონი) ბრძოლის დროს

## უკვალოდ დაიკარგა

1-ლ ქართულ საარტილერიო ბრიგადის მე-6-ე ბატარეის კანონირი **დავით არონის ძე ელიგულაშვილი.**

ვინც მის შესახებ რაიმე სარწმუნო ცნობების მოწოდებას შესძლებს დაბეჯითებით ვთხოვთ

**ჯილდოს მიღებით**

შეგვატყობინოს გულდათუთქულ მშობლებს შემდეგის მისამართით: ქ. ქუთაისი მიხაილის ქ. საკუთ. სახლი არონ იაკობის ძე ელიგულაშვილს.

(12—1956—3)

# თბ. ქართ. ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამგეობა

# აცხადებს

**სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარჩევნო ინსტრუქციის 1 §-ის ძალით, რომ**

**არჩევნები საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრებისა დანიშნულია:**

1) ქალაქ თბილისში 5 იანვარს (ახ. სტ.) 1919 წელს; I, II, III, IV, V და VI სამილიციო უბნებისა თბილ. ქარ. ვაჭარ-მრეწველთა კავშირის ბინაზე (ფრეილინის ქ., № 11). თავმჯდომარეობა მინდობილი აქვს ბ-ნ **მიხეილ ჯავახიშვილს**: მე-VII, VIII, IX, X, XI და XII უბნებისა ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში ამავე დღეს; თავმჯდომარეობა მინდობილი აქვს ბ-ნ **სვიმონ ქუთნიას.**
2) დუშეთისა და გორის მაზრების არჩევნები დანიშნულია ქ. გორში 5 იანვარს (ახ. სტ.) 1919 წელს გორის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის ბინაზე: თავმჯდომარეობა მინდობილი აქვს ბ-ნ **ზაქარია ქიტიაშვილს.**
3) სიღნაღის მაზრისა და ზაქათალის ოლქის არჩევნები დანიშნულაა ქ. სიღნაღში საურთიერთო ნდობის საზოგად. ბინაზე (ბანკში) 5 იანვარს (ახ. სტ.) 1919 წ. თავმჯდომარეობა მინდობილი აქვს ბ-ნ **კოტე ტყავაძეს.**
4) თიანეთისა და თელავის მაზრებისა დანიშნულია ქ. თელავში 12 იანვარს [illegible]

3—8—2


საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ნებართვით

ქართული ლეგიონი

მოიწვევს მოხალისეებს

მამულიშვილნო, დღეს სამშობლოს თქვენი თავი სჭირია!

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნონ დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბინაზე, სასახლის ქუჩა, ქართულ თეატრის ეზოში, სადაც ყოველგვარ პირობებს შეიტყობენ.

ლეგიონის სარდალი პოლკოვნიკი ლეო კერესელიძე.

კახელ მემამულეთა საზოგადოება „კახეთი"-ს გამგეობა აცხადებს, რომ მისთვის საჭიროა

გამოცდილი ბუღალტერი

მსურველებმა თავიანთი პირობები – ნამსახურობის და სწავლის მოწმობები— უნდა წარმოუდგინოს საზოგადოების გამგეობას, გოგოლის ქუჩა № 63.

იბეჭდება თბილისის პუშკინის სახელობის გიმნაზიის გამოცემა

საქართველოს ისტორია

ეპიზოდიური კურსი 2 და 3 კლასებისთვის რუსულ ენაზე. ნ. ე. სპილიოტის და დ. ი. კასრაძისა. გამოვა 1919 წ. დასაწყისში.

ხელის მოწერის ფასი 6 მანეთი. გამოცემის დაბეჭდვის და გამოსვლის დროს ფასი შეიძლება შეიცვალოს. ხელის მოწერის დროს გადახდილ უნდა იქნეს 50 პროც. ვინც ბევრ ეკზემპლიარს დაიკვეთს ფასი შეთანხმებით დაეთმობა. ხელის მოწერა ძიილება პუშკინის სახელობის გიმნაზიის კანცელარიაში (ბებუთოვის ქ. № 56 და პუშკინის ქ. № 4). 10—7

ყოფილი „საუფლისწულო მამულის" ღვინოები

(Удѣльныя вина)

გაიხსნა განყოფილება სახელმწიფო სარდაფისა

ტელეფ. № 888. სასახლის ქ. № 5. ტელეფ. № 888.

რესტორანების, სასტუმროების და მაღაზიების პატრონები და სხვა მოქალაქენი, გოლოვინის პროსპექტის და ერევნის მოედნის რაიონში მცხოვრებნი, რომელთაც სურთ შეიძინონ „საუფლისწულო" მამულის ღვინო პრეისკურანტის ფასებში, კეთილ ინებებენ მიმართონ ზემოაღნიშნულ მისამართით.

12—9

კერძო სამკურნალო

მძ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9 – 11 ს.

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიულ .. სიფილის. 606—914 ს-ლიხ) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იშხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—83.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი ა. დ. ალექსიძე.

ექიმი

კ. ტარ. ლორთქიფანიძე

დაბრუნდა ბაქოდან

მიიღებს შინაგან სნეულების და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნაბერეჟნის ქუჩა, სახლი 11. ტელეფონი 8—19.

(თ.—1918).

ექიმი

ივ. პ. დემურია

იღებს ავადმყოფებს 1—3 საათ. შინაგან და ბავშვების.

მიხეილის პროსპ. № 116. სასტუმროს „ნოეს" პირდაპირ.

გაიხსნა

თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის

ალექსანდრე დავითის ძის

კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

ექიმი

მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

დოქტორი მედიცინისა

მისი ...

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამკურნალო

უოპერაციო ავადმყოფთათვის ექიმი ... და დ. ...

საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის („კიროჩკინი" ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩკინი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება— საღამოს 4-დან—8-მდის, ქალების და [illegible] 10—12-დე უფასოდ.

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი დოქტორი მედიცინისა

ბ. მერაბოვისა

(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა).

მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულის, კუჭისა და ჭაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე [illegible] ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92, [illegible] საღამოს 5—8 ს. [illegible] უფასოდ.


სტამბა „ცხოვრება" [illegible] შესახვევი № 1.